# ნაკადული

ეროვნული ბიბლიოთეკა

140
2006







# „შაბათის შოუ“ „ფლოროში“













ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2006 წ. № 3

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მეცადინეობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაკადულზეა აღმოცენებული. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

ფურცლები ერთი სკოლის მატიანიდან ---- 3
გივი ბუთხუზი – ჯავრია (მოთხრობა) ---- 5
„ოდოოშხერი“ ---- 8,25
„თარიკონის“ ტრადიციები გრძელდება ---- 10
გიწვევთ ფრანების ფესტივალზე ---- 12
სკოლა ლამაზი სახელით „მზეკაბანი“ ---- 14
„შაბათის შოუს“ ვარსკვლავები სტუმრად კლუბ „ფლოროში“ - 16
უცნაური არსებები (ბუნების კარი) ---- 18
ვინ არიან კამიკაძეები? ---- 20
ხუთკუნჭულას გვერდი ---- 24
ცოტა რამ კომპიუტერების შესახებ ---- 27
თამაში ოვალური ბურთით ---- 28
მოსწონხარ თუ არა ადამიანებს (ტესტი) ---- 30

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ.14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84. ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში.
რეგისტრაციის № 06/4-575

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაბადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## ქართული ენის სახელმძღვანელო არაქართულენოვანი სკოლებისთვის

გამოიცა საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისათვის განკუთვნილი ქართული ენის სახელმძღვანელოს – „თავთავის" პირველი ნაწილი, წიგნი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მომზადდა.

პირველი ნაწილის ტირაჟი 70 ათასს შეადგენს. ის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უფასოდ დაურიგდა. „თავთავი" სულ ხუთ ნაწილად გამოიცემა. სახელმძღვანელოთი მე-7-11 კლასელი მოსწავლეები ისარგებლებენ.

საქართველოს 456 არაქართულენოვანი სკოლის 70 პროცენტი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია თავმოყრილი. მათი კვლევა გაეროს განვითარების ფონდის დაფინანსებით კომპანია „ეი სი თი კვლევამ" 2005 წელს ჩაატარა. გამოიკვეთა, რომ ამ რეგიონების არაქართულენოვანი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქვეყნის ძირითად მოსახლეობასთან სოციალური, კულტურული და პროფესიული ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვნად სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნა მიაჩნია. არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებმა ქართული ენის იდეალურ სახელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნები წაუყენეს: მასალის სიმარტივე, ილუსტრაციების სიმრავლე, ლექსიკონის არსებობა და მეტი სასაუბრო მასალა. ახალი სახელმძღვანელო სწორედ ამ მოთხოვნების მიხედვით შეიქმნა.

## გოგი დოლიძის სახელობის ქართული სიმღერის ფესტივალი

27 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება ცნობილი ქართველი მომღერლის გოგი დოლიძის სახელობის ქართული სიმღერის ფესტივალი. ფესტივალი თბილისის 24-ე საშუალო სკოლის ინიციატივით ეწყობა. გოგი დოლიძე სწორედ ამ სკოლის კურსდამთავრებული იყო.

ფესტივალის გალა-კონცერტში მონაწილეობას თბილისის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები და ქართული სიმღერების ცნობილი შემსრულებლები მიიღებენ. ფესტივალის მონაწილეთა ასაკი 15-17 წელი უნდა იყოს. ფესტივალის მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს როგორც ქართულ ხალხურ სიმღერას, ისე ქართულ პროფესიულ მუსიკას. „ასეთი ფესტივალი თბილისში წელს პირველად იმართება. გვინდა იგი ტრადიციად იქცეს და სამომავლოდ მთელი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდეს". – განაცხადა 24-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გია მურღულიამ.

24-ე სკოლის ამ ინიციატივას მხარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურმა დაუჭირეს. ფესტივალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მხარდაჭერითა და ლოცვა-კურთხევით ჩატარდება.

## „იბერიელი მგლების" გამარჯვება

ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრში ხრიდოლის ეროვნული ფედერაციის მიერ თბილისის მერიის სპორტის სამსახურის თანადგომით ჩატარებულ ღია პირველობაში ქართულ ჭიდაობაში 15 სადროშოს 150 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. გუნდური გამარჯვება 10 პირველი ადგილით „იბერიელმა მგლებმა" მოიპოვეს. აბსოლუტურ პირველობაშიც უძლიერესი ამავე სადროშოს წარმომადგენელი ბაქარ ნიკოლაიშვილი აღმოჩნდა, ასაკისა და წონითი კატეგორიების მიხედვით კი გამარჯვებულთა სია ასე გამოიყურება: ზვიად გერგედავა, ალეკო დიხამინჯია, თორნიკე ფოლადაშვილი, მალხაზ გელენიძე, რომან ხუნდაძე, იმედო ჟორჟოლიანი, გიორგი ჯანჯღავა, ლევან გოგია, ოთარ ნიკოლაიშვილი, რატი ფურცელაძე, თორნიკე ჩადუნელი.

## ჩვენი „ეტალონით" ევროპული ტელეკომპანიები დაინტერესდნენ

ყველაზე ეროვნული მედიაპროექტით „ეტალონი" ევროპის ტელეკომპანიები დაინტერესდნენ. მაისში პროექტის ავტორი გოჩა ტყემელაშვილი, ბადრი პატარკაციშვილის პრესმდივანი გუგა კვიტაშვილი და ტელეკომპანია „იმედის" წარმორმადგენლობა მიწვეულნი არიან ჰანოვერის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც პროექტს სოციალურ ჭრილში განიხილავენ. პროექტი ამ თვალსაზრისით იმიტომ განიხილება, რომ მასში არა მხოლოდ მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობები მოწმდება, არამედ მასწავლებლის სოციალური მდგომარეობაც უმჯობესდება და საზოგადოებაში მისი როლიც უფრო იზრდება.

არსებობს მოსაზრება, რომ შეიძლება პროექტი საერთაშორისო ბრენდად იქცეს, ანუ სხვადასხვა ქვეყნების ტელეკომპანიებმა მისი ლიცენზია შეიძინონ. თუ იდეა განხორციელდება, ეს იქნება პირველი ქართული მედიაპროექტი, რომელიც ასეთ წარმატებას მიაღწევს.

# ფურცლები ერთი სკოლის მატიანიდან



სკოლის დირექტორი ზაურ წითელაური

პირველი დედაქალაქიდან ახმეტისკენ მიმავალ მგზავრს სოფელი აწყური ულებს კარს. კახეთის ამ ულამაზეს სოფელს ოდითგანვე დიდი მისია ეკისრებოდა, ხოლო მისი სკოლა იყო განათლების კერა, რომელიც ახლომახლო სოფლების ცოდნას მოწყურებულ ყმაწვილებს უყრიდა თავს სასწავლებლად. აწყურელ პედაგოგებს დიდი რუდუნებითა და სიყვარულით შეუგროვებიათ სხვადასხვა სახის მასალები მშობლიური სკოლის ისტორიის შესახებ, ლამაზ ფურცლებად აუკინძავთ და წიგნ-მატიანედ შეუკრავთ. მოდით, ერთად გადავფურცლოთ ეს მატიანე და გავეცნოთ სკოლის დამაარსებლებს, ამ კუთხეში განათლების საქმის მესვეურებს, აქაურ პირველ მოსწავლეებსა და პედაგოგებს, ღირსსახსოვარ მოვლენებს სკოლის ცხოვრებაში...



სამასწავლებლოში

სკოლა მოხდენილად არის აშენებული, ლამაზ ბუნებაში, გორაზე, რომელსაც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ჩამოუდის ცივი სასმელი წყლით დაუშრალი ხევები. სამხრეთიდან გადმოსცქერის ცივგომბორის ტყიანი ქედი, ხოლო ჩრდილოეთიდან – ამაყად მომზირალი კავკასიონი. არსებული ნასახლარებით თუ ვიმსჯელებთ, სკოლის გარშემო ოჯახები ყოფილან დასახლებულნი, მაგრამ როცა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გარდა ვაჭრობამაც მოიკიდა ფეხი მოსახლეობამ საცხოვრებლად გზასთან სიახლოვე არჩია და ვაკეზე ჩამოინაცვლა...

პირველი კლასი გაიხსნა პატიკო სულხანიშვილის სახლში, სკოლა კი მეღვინეთუხუცესის მამულში შენდებოდა, რომელსაც მღვდელი ხელმძღვანელობდა, თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი იროდიონ შაქლიაშვილი, მესამე კლასიდან კი ახალ სასკოლო შენობაში გადავედით...

1905 წელს სკოლა ხუთწლიანად გადაკეთდა, 1927 წელს – არასრულ საშუალოდ, ხოლო 1937 წლიდან უკვე საშუალო სკოლად დამკვიდრდა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა სოფლიდან მოშორებით, მაღალ გორაზე იდგა, ცოდნის შეძენის მსურველნი სხვა სოფლების ბოლოდანაც კი დადიოდნენ ძალიან შორ მანძილზე, რადგან მათ სოფლებში არ იყო საშუალო სკოლა...

..1970-1971 სასწავლო წელი სკოლამ ახალ კეთილმოწყობილ შენობაში დაიწყო, სადაც დღემდეა განთავსებული (გზის პირას აწყურისა და ზემო ხოდაშნის საზღვარზე). დღიდან დაარსებისა სკოლამ არაერთი ხელმძღვანელი გამოიცვალა“...

1991 წელს, როცა მაშინდელ დირექტორს ე. წილაშვილს ჯანმრთელობამ უმტყუნა და თანამდებობას ტოვებდა, პედაგოგთა სრულმა შემადგენლობამ მოითხოვა სოფლის მკვიდრი, ზაურ წითელაური დაენიშნათ ამ თანამდებობაზე. მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სკოლას დღესაც ზაურ წითელაური უდგას სათავეში...

ახლა კი მოდით, აწყურის სკოლის დღევანდელ ცხოვრებას გავეცნოთ და იმაზე ვისაუბროთ, რაც დროთა განმავლობაში ახალ ფურცლებად შეემატება მატიანეს.

ბატონ ზაურს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, მუშაობდა პანკისის ხეობაში, სოფელ დუისის საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში, აწყურის სკოლის დირექტორად, ახმეტის განათლების რაიონული განყოფილების გამგედ, სოფელ ჟალაურის №4 საშუალო სკოლის დირექტორად, და როგორც საქმის მცოდნე, სამართლიანმა საუკეთესო ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა, უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა, ასეა ახლაც – ზაურ წითელაური არა მარტო მოსწავლეებისა და პედაგოგების, არამედ ყველა აწყურელის გულწრფელი პატივისცემით სარგებლობს. უნარიანი, მზრუნველი ხელმძღვანელის ხელი ყველაფერში ატყვია სკოლას.

სკოლის ეზოში შესვლისთანავე თვალში გეცემათ სისუფთავე და წესრიგი, კლასებსა თუ დერეფნებში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სიწყნარე და სიმშვიდეა, კედელზე უხვადაა გამოფენილი საინტერესო მასალები: საქართველოს გეოგრაფიული რუკა, ლამაზად გაფორმებული მილოცვები, სკოლის ცხოვრების ამსახველი კედლის გაზეთები, ფსიქოლოგიის კუთხე, მოსწავლეთა შემოქმედების ნიმუშები – აქ ყველაფერი საკუთარი ქვეყნის კუთხის ტრადიციების პატივისცემით და სიყვარულით სუნთქავს. სკოლაში ბევრი მოსწავლე ხატავს კარგად, ეს კი უთუოდ პედაგოგ მზია ქიტიაშვილის დამსახურებაა, რომელიც ყველანაირად უწყობს ხელს ბავშვებში ხატვის ნიჭის გაღვიძება-განვითარებას, აზიარებს მათ მშვენიერების სამყაროს.

უდიდესი სიყვარული და შრომა ჩააქსოვა პედაგოგმა ბელა ბახბახიშვილმა ი. გოგებაშვილის სახელობის კაბინეტის შექმნაში, სადაც ყველაფერი შინაარსობრივად დატვირთული და გემოვნებით არის გაკეთებული.

ფსიქოლოგ ნათელა ბაშინურიძის მუშაობაზე მარტო ფსიქოლოგიის კუთხე არ მეტყველებს. სკოლაში სისტემატურად მიმდინარეობს ლექციური მუშაობა ყველა საფეხურის მოსწავლეებთან და მათ შორის აბიტურიენტებთან. ქალბატონ ნათელას სწამს, რომ ფსიქოლოგიური მზადყოფნა წარმატების საწინდარია და იმ 7 აწყურელ ახალგაზრდას, რომლიც წელს ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში, გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში უთუოდ ფსიქოლო-



III კლასი „დედა ენის“ კაბინეტში. ხელმძღვანელი ე. ზათიაშვილი.

„ვეფხისტყაოსანი“ – ჩემი სამაგიდო წიგნის“ გამარჯვებული მარიამ ჩანგაშვილი (Xკლ.) და ორგანიზატორი ლ. სეფაშვილი.



გიურ მზადყოფნაც დაეხმარა.

წელს ფსიქოლოგიაში რესპუბლიკურ კონფერენციაზე გაიმარჯვა და I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა XI კლასის მოსწავლემ ლიკა დანაჭრელაშვილმა (ხელ. ნათელა ბაშინურიძე), ისტორიაში კი თამარ გოგალაძემ ისახელა თავი (ხელ. ლამარა სეფაშვილი), უნდა ითქვას, რომ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებული აწყურელებს თითქმის ყოველ წელს ჰყავდათ.

სკოლას ბევრი აქვს საამაყო, აქ აღიზარდნენ ღირსეული პიროვნებები: მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი თამაზ ლევაშვილი, პოეტი შოთა ხოდაშნელი, ყოფილი პარლამენტარი (ცეზარ) გიორგი ახმეტელი, ზურაბ ახმეტელი, მუსიკოსი ნიკოლოზ სულხანიშვილი, კუნძულ ტექსელის გათავისუფლების გმირი შალვა ლოლაძე, სოფლის გამგებელი გივი ბაბილაშვილი, სოფლის ადმინისტრაციის თანამშრომელი სოსო ლაფაური, „თბილრძის“ გენერალური დირექტორი დათო დათოშვილი, მოჭიდავე თენგიზ წითელაური, ძმები ზაზა და ზაქრო ებელაშვილები (ეს უკანასკნელი დაიღუპა და ხარებობის დღეს მისი სახელობის ტურნირი ტარდება).

საინტერესო წარსულის მქონე სკოლა ტრადიციებს დღესაც აგრძელებს და კვალში მიჰყვება ახალ ცხოვრებას. ეს, რა თქმა უნდა, სკოლის დირექტორისა და ერთ მუშტად შეკრული კოლექტივის დამსახურებაა, რომლის ბირთვს შეადგენენ გამოცდილი პედაგოგები: ბელა ბახბახიშვილი, თამილა ბალანაშვილი, ლამარა სეფაშვილი, ლიანა ხარატიშვილი, ნინო გრძელიშვილი, ლალი ბაჩიაშვილი, თინიკო გრძელიშვილი, ელზა ზათიაშვილი, ნაირა იოსებაშვილი...

სკოლაში თამამად ინერგება განათლების რეფორმით მოტანილი სიახლეები, აქ ჯერ კიდევ 2004 წელს ჩაატარეს ღია კარის დღეს ინტერაქტიური გაკვეთილები. ამჟამად სკოლის განვითარების ჯგუფი, რომელშიც 5 პედაგოგია გაერთიანებული, ტრენინგებს ატარებს, შესაბამისი ლიტერატურის მოძიება მათ უკვე საკუთარ ბიბლიოთეკაში ძალუძთ. თუმცა შარშან თელავში ამერიკელი პედაგოგის მიერ ჩატარებულ ტრენინგს რაიონული დაუქვემდებარებლობის გამო, ახმეტის რაიონის სოფ. აწყურის სკოლის პედაგოგები ვერ დაესწრნენ. მათ მასალები მაინც მოიძიეს და სწავლების ახალ მეთოდებს ეტაპობრივად ნერგავენ სკოლაში. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს უნარ-ჩვევების გამომუშავების კუთხით, დაინერგა ოთხივე ტიპის პორტფოლიო. შეფასება ხდება ათბალიანი სისტემით. ღონისძიებებსაც ხშირად აწყობენ და დასვენების ფასიც იციან. პატრიოტული ბანაკების მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყეს ბორჯომში უფასო ექსკურსიაზე ნამყოფ თანატოლებს. იმართება ტრადიციული ღონისძიებები: ქართული ანბანის, გერმანული ანბანის ზეიმი, სარვამარტო, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით (ამ დღეს არის აწყურის დღეობაც), მასწავლებლის დღეს, 5 ოქტომბერს ეწყობა მოსწავლეთა და პედაგოგთა შემოქმედებითი კონკურსები, კონკურსი და პოდიუმი ბებიების მონაწილეობით, თამაშობენ „ყველაზე ჭკვიანს“. წელს 3 თებერვალს ლამარა სეფაშვილის თაოსნობით ჩატარდა კონკურსი „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი სამაგიდო წიგნია“, გაიმარჯვა X კლასის მოსწავლემ მარიამ ჩანგალაშვილმა.

ფიზკულტურის გაკვეთილზე



გეოგრაფიის მასწავლებლის ლალი ბაჩიაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით სკოლაში ჩატარდა საზრიანთა და გონებამახვილთა კონკურსი „ეტალონი“, გამარჯვებულს, VIII კლასის მოსწავლეს ნათია ფიცხელაურს ქების სიგელი და პრიზი გადაეცა.

ინტერ ოფისის თავმჯდომარემ მათემატიკოსმა გურამ ბერიშვილმა სკოლას კომპიუტერიც აჩუქა.

სკოლაში არასამთავრობო ორგანიზაცია CHF-თან ერთად, დირექტორის აქტიური მონაწილეობით მომზადდა პროექტი, რომელშიც მთელი სოფელი მონაწილეობდა. პროექტის ჩარჩოებში სკოლაში შემოყვანილი იქნა სასმელი წყალი, მოხდა სკოლის სახურავის ონდოლინით მოწყობაც. აწყურის სკოლამ განათლების სამინისტროს გრანტიც მოიპოვა, რითაც სკოლაში გეოგრაფია-ინფორმატიკის კაბინეტის მოწყობა და სწავლა-სწავლების გაუმჯობესებაა დაგეგმილი.

სკოლაში მოქმედებს სასურსათო პროგრამა I-VI კლასის ჩათვლით, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ გაცდენა-დაგვიანებები მთლიანად აღმოიფხვრა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორის“ მიერ სკოლის სპორტდარბაზის კაპიტალურად გარემონტებამ დამატებითი სტიმული მისცა მოსწავლეებსაც და ფიზკულტურის მასწავლებელ მერაბ ბულკაშვილსაც და დღეს ისინი უფრო მეტი მონდომებით ისწრაფვიან მაღალი სპორტული მიღწევებისკენ. მეხუთეკლასელი ვალერი ხარატიშვილი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში II ყვითელი ქამრის მფლობელია და მწვრთნელ მერაბ ბულკაშვილის ფეხბურთის სექციაშიც არის გაერთიანებული, სადაც არანაკლებ წარმატებას აღწევს. დიდ იმედებს იძლევიან მეცხრეკლასელი ნიკა ხამხაძე და მეთერთმეტეკლასელი გიორგი მორჩაძე, რომლებმაც სპორტულ ასპარეზზე უკვე მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს. რაიონული მასშტაბით თავი ისახელეს მოჭიდავეებმა ნიკა ტოროლაშვილმა (IVკლ), ალიკა ჭიჭიაშვილმა (X კლ), ვანო ხვთისიაშვილმა (X კლ.) (მწვრთნელი გია ემინაშვილი).

სკოლაში კარგა ხანია ფუნქციონირებს ხალხური ცეკვის წრე დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის, რომელსაც ნიკოლოზ ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობს. პატარა მოცეკვავეების მარიამ იმედაშვილის, თორნიკე ბაბილაშვილის, მარი ბაბილიშვილის, უჩა და გიორგი გოგიჩაძეების, გიორგი ჭიჭიაშვილის, ლევან და ლანა ოვეჩკიანების, ქეთინო ჩალმაველის, ანი ფიცხელაურის, ნიკა რამაზიშვილის და სხვა მათი თანატოლების ხელოვნება დიდი მოწონებით სარგებლობს მთელ აწყურში.

**მანანა ჯანჭირაშვილი**



კლასის „ეტალონის“ გამარჯვებული მერვეკლასელი ნათია ფიცხელაური და კლ. ხელმძღვანელი ლ. ბაჩიაშვილი

## მოთხრობა



მხატვარი
ჯემალ
ლოლუა

# ჯავრია

## გივი ბუთხუზი

ალექსიმ კედელზე ჩამოკიდებულ თოფს შეხედა და ჩაფიქრდა, მერმე მხარზე გადაიკიდა და გარეთ გავიდა. შუა ეზოში მიმოიხედა, რაღაცას დაუწყო თვალიერება, და რომ ვერსად დაინახა, ბოსტანში გადაიხედა.

გაზაფხულის პირი იყო, ბარვისა და თესვის დრო. ქალებს იქაურობა მოეშანდაკებინათ, ნაგავი და ჩალაბულა ერთ ადგილზე მიეხვეტათ, ცეცხლი წაეკიდებინათ და ახლა ნიავს მყრალ კვამლთან ერთად გულისამრევი ნატისუსალიც მოჰქონდა.

–ჯავრი, ჯავრიი.. – დაიძახა ალექსიმ და მესერს აღმა შეუყვა.

გადარჩენილი სიმინდის კაჭეჭები, წინდის ნაგლეჯები და ფეხსაცმლის ჯღანები უჟმურად ბოლავდნენ. ცეცხლის ირგვლივ მიწა დატკეპნილი იყო. ეტყობოდა, ბავშვებს ჭიაკოკონის გარშემო კარგახანს ეფუსფუსნათ.

–გურო!

პასუხი საბძლის უკანა მხრიდან მოისმა და გურამიც გამოჩნდა. მას ჯავრია გამოჰყვა, მერე სხვა ბავშვებიც გამოჩოჩქოლდნენ.

–რას აკეთებთ მანდა?

–არაფერსა!

–მაიყვანე ძაღლი!

გურამმა ჯავრიას რაღაც ჩაულაპარაკა და თავზე ხელი დაადო.

ალექსი სათონეში შებრუნდა. მის დანახვაზე საფანელის ასაზელ ორმოში ჩაბუდებული ქათმები გაფრთხნენ, ნაცრის კორიანტელი დააყენეს. ცოტა ხანს შეიცადა, და როცა მტვერი ჩადგა, თოკი ჩამოხსნა, მერე აკეცა და ისევ ეზოში გავიდა.

ბავშვები იმ ადგილზევე იყვნენ და ძაღლს ეთამაშებოდნენ.

–ვერ გაიგონე, რა გითხარი?! – ეს გურამის მისამართით იყო ნათქვამი. ყველანი ჯგროდ წამოვიდნენ, თან ძაღლიც წამოიყოლეს, „საწყალი ჯავრია! კარგი იყო, მაგრამ დაბერდა და ახლა...“ – გაიფიქრა ალექსიმ და ის დროს გაახსენდა, როცა პატარა ლეკვი მოიყვანა. ერთი ბეწო იყო, ნამცეცა, ჯავრია დაარქვა. ჯავრიამ ტანი რომ აიყარა, ყურები დააჭრა და ბეღლის სვეტზე მიაბა, უფრო ავი გამოვაო. მართლაც, ძალიან ჯაშარატი ძაღლი დადგა. მარტო შეხედულებითაც კი ზარავდა გამვლელ-გამომვლელს... მალე ალექსიმ რკინის ჩანგლებიანი საყელური შეაბა და ცხვარში წაიყვანა.

კიდევაც დიდხანს შეინახეს ჯავრია. რა ხანია, საცოდავ პირუტყვს აღარაფრის თავი აღარა აქვს. თვალები დაუპატარავდა და ჩაელია, ხმა ჩაეხლიჩა და ჩაეგუდა, კბილები ერთიანად მოეფშვნა და აღარც ხეირიანად ესმის. ლანდიც აღარ არის იმისა, რაც იყო.

ბავშვები ბოსტნიდან გამოვიდნენ და ალექსის გარს შემოერტყნენ. ჯავრიამ მაშინვე კუდი აქიცინა და პატრონს ფეხებთან დაუწვა.

ალექსიმ ყელზე თოკი შემოახვია, იშიტად განასკვა, მერმე ძაღლს ფეხი წაჰკრა.

–ადე!

ჯავრია ცახცახით წამოდგა, კუდი ამოიძუა და თავწაღუნული მეორე ბიძგს დაელოდა.

პატრონმა უკანიდან მოუარა, თოკი მიუშვა და დაუყვირა:

–გადი!

ძაღლი ალექსისა და აჟრიამულებულ ბავშვებს ჭიშრისკენ ძუნძულით გაუყვა.

–მამი, სად მიგყავს ჯავრია?

–არსად!

–მაინც?

–რა შენი საქმეა?!

გურამი შეჩერდა და მოიღუშა.

ეზოდან გასულ ალექსის ბავშვებიც თან გაჰყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ მამას გურამიც აედევნა. „სად მიჰყავს ნეტა ჯავრია, თუ სანადიროდ მიდის, რატომ წელზე პატრონტაში არ არტყია... ანდა როდის იყო, ჯავრია სანადიროდ წაეყვანოს!“, – ფიქრობდა ბიჭი.

სოფლის ბოლოს რომ ჩავიდა, ალექსი მობრუნდა და ბავშვებს მკაცრად უთხრა:

–ახლავე შინ დაბრუნდით ყველანი! ფეხი არავინ არ გამოადგათ, თორო ის არის კიდეცა!

ბავშვები შეჩერდნენ, მაგრამ ალექსი როგორც კი შორს გაიგულეს, ისევ აედევნენ.

–რა გითხარით! აბა, ახლავე გაბრუნდით!

არც ერთი არ იძვროდა ადგილიდან, იდგნენ გაბუსხულნი და წარბებქვეშიდან უყურებდნენ.

–არ გესმით?.. ერთი ფეხი გამოგიდგამთ! – მუქარით ჩაილაპარაკა და ისევ გზა განაგრძო.

დაღონებული ბიჭები ერთ ხანს მიმავალ ალექსის გასცქეროდნენ, მერ კვლავ აედევნენ.

ალექსის უკან აღარ მოუხედავს, გუმანით კი მიხვდა, რომ კვლავ მისდევდნენ, მაგრამ აღარ მობრუნებულა. „მაინც ვერ მოვიშორებ და, რაც უნდა ის უქნიათო“, – გუნებაში ჩაილაპარაკა.

თითქოს ძალზე გულმოსულიაო, ისე ჩქარა მიაბიჯებს ალექსი. ჯავრიაც ძუნძულით მიჰყვება. მიჰყვება კი, მაგრამ ვაი ამ მიყოლას! ხვდება ჯავრია, რაც მოელის. ცხრამეტი წელიწადია მას აქეთ, რაც თავი ახსოვს. ამ ხნის მანძილზე ვინ იცის, რაღა არ უნახავს და აბა რამეს გამოაპარებენ? ალბათ მოკლავს პატრონი. ალბათ კი არა, ნამდვილად და თუ კი ეს ასე არ არის, მა რად შეაბა თოკი? სად მიჰყავს?!

რომ არ გაჰყვეს და აწკმუტუნდეს? ეჰ, რა აზრი აქვს გაძალიანებას, – თოფს აქვე დაახლის და გაათავებს... ტყუილად რატომ დაილაჩროს თავი!

აფსუს, რა ძაღლი იყო ჯავრია! პატრონის ერთგული და მთელი ფარის იმედი. ზაფხულობით მთაში დაჰყავდათ, ზამთრობით – ყიზლარში. შემოდგომასა და გაზაფხულობით გზაზე იყო გაკრული. პირველ ხანებში ძალიან უჭირდა, სათონის ჭერი და თბილი თეგრი ოცნებად გადაექცა. მაგრამ მალე შეეჩვია თავის ბედს და მერე აღარ ეძნელებოდა ცის ქვეშ დარსა თუ ავდარში, ქარსა თუ თოვლში ღამის ტეხა, ნადირთან თუ ქურდებთან შებმა. მუხლიც კარგად უჭირდა, თვალიც, კბილიც, გულიც ისეთი ჰქონდა, ცხენიან კაცს არ შეეპუებოდა, აზავთებული ზედ შეახტებოდა და ფიჩხის კონასავით ჩამოიღებდა ძირს. მწყემსებს ძალიან უყვარდათ, დიდ პატივსაც სცემდნენ. ყველაზე მეტ სალაფავს მას აძლევდნენ. სახრავ-საწოწკი ძვლებიც თავზე საყრელად ჰქონდა. მაგრამ წავიდა ის დრო, მდინარის ტალღასავით ჩაიარა.

არა, მაინც რა ძალა ჰქონდა, რა ზავთი! ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუგდებინებია მგლისთვის მოტაცებული თოხლი და ბატკანი. ახლა დათვს რამდენჯერ შებმია! შებმია და კიდეც მოუგერიებია. ვინ იცის, რამდენი ამისთანა შემთხვევა ახსოვს, მაგრამ ის ერთი ამბავი მაინც ყველაზე უფრო დაახსომდა.

მაშინ ადრე გაზაფხულდა ყიზლარში. ერთბაშად დათბა. უცებ ამოჩიჩინდა ავშანი და ვაციწვერა. ნამდვილი ცხვარ-ბატკნის აღდგომა დადგა, მაგრამ წუხდნენ მწყემსები, არ ეჭაშნიკათ ნაადრევი გაზაფხული. როგორც კი ჩამოცხა, აიყარნენ და, თუ რამ ავლა-დიდება გააჩნდათ, ცხენებსა თუ სახედრებს აჰკიდეს, მშობლიური მთებისკენ დაიძრნენ.

საღამოს ერთგან დაიდეს ბინა. ხმელი პურით ივახშმეს და ძაღლებსაც ცივი სალაფავით გაუმასპინძლდნენ.

ჯავრია მაშინ რატომღაც კარგ გუნებაზე იყო. ლეკვივით ხტოდა და დარბოდა, უკიდეგანო სიბნელეს ყნოსავდა და მხიარულად ყეფდა. კარგად რომ დახშირბინდდა, ფარას ირგვლივ შემოურბინა, მერე პატრონი მოძებნა და თავთით დაუწვა. მშვიდი და წყნარი ღამე იყო. ხანდახან ცხენების ტყუპად დაკრული ტორების ბათქუნი და ჯაჭვის ფალვანდების ჩხარუნი თუ დაარღვევდა ტრამალის მყუდროებას. უცებ ჯავრიამ მანამდის უცნობი რაღაც სუნი იკრა, ყურები ცქვიტა და ძალიან ჩუმი, თითქმის ძლივსგასაგონი შრაშუნი მოესმა. მყისვე უკანა ფეხებზე წამოყუნცდა და თვალები დააცეცა. ვეება წყეული ნელა მოიზლაზნებოდა. მის დანახვაზე ჯავრია ერთიანად აიჯაგრა, წელში აიწურა, ყოველი ძარღვი და კუნთი სიმივით დაეჭიმა, კბილები დაკრიჭა და ზიზღნარევი ღრენა ამოხდა.

გველს მაინცდამაინც ხშირად არ ხვდებოდა. შორიდან თუ შეუნიშნავს მხოლოდ, ეგ იყო და ეგ. შეძრწუნებულს მაშინვე გზა აუქცევია და გაშორებია. რატომღაც ზარავდნენ ისინი და ყოველთვის ლაჩრულად გაურბოდა.

ქვეწარმავალი კაცს მიაუხლოვდა, ბალახში თავი წადო და გაყუჩდა.

ალექსის ღრმა ძილით ეძინა, პირი დაეფჩინა და არხეინად ხვრინავდა.

ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ჯავრიას, ჩახმახივით შეიმართა.

გველმა ალექსის თავთან ახლოს მიკლაკნა გრძელი ტანი, მერე მტკავლის სიმაღლეზე აიყლაყა და ცოტა ხანს ეგრე გაჩერდა. ჯავრია წკიპზეა, აცახცახებული ღრინავს, მეტი ველარაფერი მოუხერხებია, საკინძეგაღეღილი ალექსი კი გაჭიმული წევს და რა იცის, რა საფრთხე ემუქრება.

ქვეწარმავალმა რამდენჯერმე გადმოასავსავა

წვრილი და გრძელი ენა, მერე ის იყო მძინარეს უნდა სცემოდა, რომ ჯავრია რაღაც ძალამ ადგილიდან ისარივით გატყორცნა, ელვისებურად დააცხრა, მაშინვე ჩაჯენჯა, სწრაფადვე გაგდო პირიდან და მხოლოდ ამის შემდეგღა მოახერხა დაყეფება.

ალექსის გამოეღვიძა. დაფეთებულმა წამოიწია, ბნელში მიმოიხედა და, რაკი შემაშფოთებელი ვერა შენიშნა რა, ისევ გაეხვია ნაბადში და მიწვა. სულგაცხებული გველი მეორე დილასღა ნახეს მწყემსებმა. მიხვდნენ ყველაფერს.. ალექსიმ ერთი მთელი პური და გაკაღებული დუმა მიჰკერძა ჯავრიას. თუმცა განა საქმე კერძშია... აი, ხომ მოსაკლავად მიჰყავს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც ახლა დაიზოგავს



თავს ჯავრია. უყვარს, ძალიან უყვარს პატრონი. უყვარს ბავშვები, ყველა უყვარს. ჯერ უმიზეზოდ ხმა არავისთვის გაუცია. მარტო იმას ერჩოდა, ვისაც უსვენდნენ. ეგ იყო და ეგ. ალექსი მაინც განსაკუთრებულად შეუყვარდა, რადგან ცხვარში სიყმაწვილეშივე გასულ ტოლივით შეეზარდა. ერთმანეთისთვის არასოდეს უღალატნიათ, მაგრამ ახლა...

ძველ ნაწისქვილართან მივიდნენ. დაბლობში კამკამა ფშანი დაგუბებულიყო. ტბორში წყალბალახა ბიბინებდა, ნაპირებზე ჩოჩორიკი, ქათმის ბუმბული და საქონლის ძვლები ეყარა. ანკარა წყალი ქვებსა და ბალახებში წყნარად მილიკლიკებდა.

ალექსი შეჩერდა. ნაწისქვილარის ბეგზე ბავშვები ახალმთვარისებურად გაწალიკდნენ. ჯერ კი დააპირა ალექსიმ პატარები იქიდან გაერეკნა, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია.

–აბა, ჯავრიავ, შე ბეჩაო, არ მემეტები, მაგრამ რა გიყო, გაწვალებულ სიცოცხლეს უეცარი სიკვდილი არ გირჩევნია? – ჩაილაპარაკა.

ძაღლი დაბლობში ჩაიყვანა, როგორც თვითონ უნდოდა, ისე დააყენა, შემდეგ უკან გამობრუნდა, ბექზე ავიდა, საბლის ბოლოს ფეხი დაადგა, აქაოდა ძაღლი არსად გამექცესო, თოფი მხრიდან მოიხსნა, ჯიბე მოიჩხრიკა, ვაზნა ამოიღო და ძაღლს ჩახედა.

ასე ახლოს, პირისპირ, ჯერ არაფრისთვის არ უსროლია ალექსის. გული შეეთანაღრა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, ლამის ხელი აიღო განზრახვაზე. ბოლოს როგორღაც შერცხვა ბალღებისა, რაკი აქამდის მოვიყვანე, უნდა კიდეც მოვუღო ბოლო. – გაიფიქრა და გული გაიმაგრა.

ჯავრია თავჩაღუნული იდგა და უხმოდ ელოდა ბედის განაჩენს.

ალექსიმ ათრთოლებული ხელებით თოფი შემართა. დაძაბულ დუმილში შემაძრწუნებელი ჩხლაკუნი გაისმა და, როგორც კი დაუმიზნა, მყისვე აღრიალდნენ ბიჭები.

ალექსიმ თოფი დაუშვა და ბავშვებისკენ მიბრუნდა. „არა, ამათთან არ შეიძლება“, – ჩაიდუდუნა თავისთვის და ბალღებს ერთხელ კიდევ დაუტატანა.

–ან შინ წადით, ან აქედან ფეხი არცერთმა აღარ მოიცვალოთ, თორო დაგაგლეჯთ ყურებსა!

შემდეგ თოკი ისევ აკეცა და ნაწისქვილარს გაშორდა. კარგა რომ გაიმანძილა, შეჩერდა და უკან მოიხედა. ბალღები იქვე იდგნენ და შორიდან უთვალთვალებდნენ. „არა, აღარ წამოვლენ“ – იმედიანად გაიფიქრა და სვლა განაგრძო.

ჯაგებთან ღორები დაინახა. მწყემსები მყუდროზე წამოწოლილიყვნენ. მზეს ღრუბლებში დაებუდა და ცივი ნიავი ქროდა. მინდორში გაფანტული ღორები მიწას ჩიჩქნიდნენ და გემრიელ სასუსნავს ეძებდნენ. უცბად, სად იყო და სად არა, საიდანღაც ერთი გაქუცული ძაღლი გამოვარდა და დოსტოღრივ ალექსისკენ გამოქანდა, მაგრამ ახლოს რომ მოვიდა, კაცს კი არ გასცა ხმა, პირდაპირ ჯავრიას ეძგერა. ვინ იცის, გულში რა ჯავრი ჰქონდა ამ ბებრისა. ჯავრია ფეხსაც არ იქნევდა. გამძვინვარებულ ყურშას ჩულივით ედო ქვეშ და მორჩილად ეგლეჯინებოდა. ან კი რა შეეძლო, დაწყლულებული ღრძილებით რას დააკლებდა.

ალექსიმ ჯერ კი უყურა, უყურა და მერე გული როგორღაც უცნაურად შეეკუმშა. მივარდა ყურშას, კონდახი მაგრად ჩაათაქა მკერდში და იცოცხლე, იმან გაქცევა იკადრა: საწყალმა ჯავრიამ პირი დააღო და გულსაკლავად აღმუვლდა. დაბეგვილი ძლივს წამობორტყდა და პატრონს შეხედა. ალექსიმ ძაღლს თოკი შეხსნა შინისაკენ მიბრუნდა და თოფი ჰაერში გაისროლა.

# დაბრუნება ხუთი წლის შემდეგ

## (მეგობრის ნაამბობიდან)

რუსეთი. უზრუნველი ცხოვრება დედ-მამასთან ერთად. ვერსად ვპოულობ სიმშვიდეს... ვითვლი წლებს... ვერ ვივიწყებ მშობლიურ მთებს. მიხმობს მეძახის წინაპრის მიწა... ნოსტალგია. მტკიცე გადაწყვეტილება: მე უნდა დავბრუნდე საქართველოში!

მამა თანახმაა, რა საკვირველია, მაგრამ დედა? დედაც!... უცნაურია, ის ხომ რუსია?! ააა... იმანაც ხომ იცხოვრა წლების მანძილზე სხვის მიწაზე — სხვის ცის ქვეშ, იცის, გრძნობს ყველაფერს, არაფერი ეშლება... მე ხომ ათი წელი ვიზრდებოდი საქართველოში. ათი წლის მოზარდს ვერაფერს დაავიწყებ ადვილად.

დედა გრძნობს ჩემს გულისცემას. ამიტომაც გამომიყენა სამშობლოს გზებს.

ო, ღმერთო ჩემო, ეს რა მემართება?! სიზმრად ქცეული ბაღდათი კვლავ ცხადად მექცა!

დავდივარ, არა, უფრო სწორედ, დავფრინავ, მის მარადმწვანე ქუჩებში დ ლამის გავგიჟდე!.. რა ყოფილა მიწის ყივილი!.. ირგვლივ ყველა და ყველაფერი მეფერება. მოგონებები მოგონებებს მისდევს... არა, მე რომ აქედან წავედი, სულ სხვა ცხოვრება დავტოვე, ახლა კი ფერი უცვლია ყველაფერს. ახლა სულ სხვა სიო ჰქრის... სხვა განწყობაა, სხვა ხალისია.

ყველა და ყველაფერი გულში მიხუტებს, მეალერსება. ო, როგორ მოვნატრებივართ ერთმანეთს! აქამდე როგორ ვძლებდით უერთმანეთოდ?! ახლა უფრო მიყვარხარ, ჩემო სამშობლო, როცა ვიგრძენი, რა ყოფილა შენგან განშორება. დარწმუნებული ვარ, შენც გიჭირდა უჩემოდ. აბა რომელ დედას არ უჭირს შვილის განშორება?! შენ ხომ ძალიან, ძალიან ბევრი გყავს იქ, შორს ცხრა მთას იქით გადაკარგული. მოუხმე, მიმოუძახე, აუთრთოლე გულები, რათა ვერ აიტანონ უშენობა და მალე მოგალათდნენ შენს თბილ კალთაში.

ვერავინ წარმოიდგენს, დღეს რა ბედნიერი ვარ!... ბედნიერი, იმიტომ, რომ ისევ მიმიღო ჩემმა მშობლიურმა კუთხემ და ხელი არ მკრა, როგორც უცხო მიწაზე გადარგულს.

ყველა ნატვრა ამისრულდა.

**სალომე ნერგაძე**, ბაღდათის რაიონის სოფ. ნერგიეთის საშ. სკოლა, X კლასი.

### ჩემი მამიდა

რა ლამაზი დარია,
რა ნაზი და რა კარგი,
რა ლამაზი ველია
ყვავილებით ნაქარგი.
დიდ და მწვანე მინდორზე
ყვავილებს კრეფს ხატია
აღტაცებით იძახის:
მართლაც დასახატია!

**მარიამ იაკობიშვილი**,
ქ. რუსთავი,
VII კლასი



### როგორ დავიცვათ ბუნება

ბუნება ადამიანის ნაწილია. მის გარეშე ადამიანის სიცოცხლე წარმოუდგენელია. რადგან მიწა, ჰაერი, წყალი გვაძლევს საკვებს, ბუნება გვანიჭებს სილამაზის შეგრძნებას, ადრე ადამიანები ფრინველს, ნადირს თუ ცხოველს ღვთაებად მიიჩნევდნენ. მშობლიური ბუნების დაცვა ქართველების ვალია. ბუნება დღეს თითქმის განადგურების ზღვარზეა და მას დაცვა სჭირდება უპირველესად უნდა დავიცვათ ხეები მოჭრისაგან, დავრგათ ისინი, ეს მოამრავლებს ნადირ-ფრინველს, მოგვცემს ჟანგბადს და შთანთქავს ცუდ აირებს.

**თეონა ქურთაევა**, რუსთავის სკოლა „მზეკაბანი“, VII კლასი



**ნინო ქუმსიაშვილი**,
ქ. რუსთავი
5 წლის

# რატომ ვამბობთ ასე?

**მეშვიდე ცაზე მიწეული** – ღმერთთან ასული, უზომოდ გახარებული, მეტისმეტად კმაყოფილი, უნეტარესი. ხალხის წარმოდგენით, ცა იყო შვიდი, ერთიმეორეზე წამოდგმული. სულ უკანასკნელ, მეშვიდე ცაზე, ანუ ყველაზე მაღლა სუფევდა ღმერთი. იქ იყო მისი ტახტი. მეშვიდე ცის იქით არაფერი არ უნდა ყოფილიყო.

**მე ჩემი კალო გამილეწია, ხარები გადამიყენებია** – ჩემი გასაკეთებელი საქმე გამიკეთებია, ჩემი მოვალეობა ამისრულებია. სოფლის მეურნეობაში კალოს ლეწვა ყველაზე უმძიმეს, სასწრაფოდ შესასრულებელ, ყველა სამუშაოს დამაგვირგვინებელ საქმედ ითვლება. ამ ხატოვან თქმაში დიდი საქმის გაკეთება, უმთავრესი მოვალეობის მოხდა იგულისხმება.

**მიშაბათება** – მიფუჩეჩება, რაიმე საქმის ნაჩქარევად გაკეთება.

წინათ, შაბათობით ყოველგვარ მუშაობას კვირის სხვა დღეებზე ადრე ამთავრებდნენ. ეკლესიაში საღამოს ზარის ჩამორეკვის შემდეგ დრო კვირაძალად ანუ კვირის ნაწილად ითვლებოდა და ამ დროს ფიზიკური მუშაობა არ ეგებოდა. ამიტომ გლეხი, თუ ყანაში მუშაობდა, ცდილობდა შაბათს ადრე დაესრულებინა სამუშაო, კვირაძალს არ მოესწრო. ამ სიჩქარესა და ფაციფუცში ნამუშევარი, ძალაუნებურად დაუმთავრებელი გამოუდიოდა, ბევრად ჩამორჩებოდა გულდასმით და აუჩქარებლად ნაკეთებს და შაბათის, ნაჩქარევად ნაკეთები ანუ მიშაბათებული ხდებოდა.

**მოკლე თოკით დაბმა** – თავისუფლების წართმევა, მკაცრად მოქცევა. საზოგადოდ როცა საქონელს გრძელი თოკით აბამენ საბალახოზე, ის ბალახს თავის ნებაზე მოსძოვს, ხოლო თუ ბაგაზეა ასეთივე თოკით დაბმული, შეუძლია სხვებსაც კი წაართვას საჭმელი. ერთი სიტყვით, არსებობისათვის ბრძოლაში მეტი თავისუფლება აქვს. ცხადია, მოკლედ დაბმულს ამის საშუალება ესპობა.

**ნასახლარის ნარივით რწევა, რყევა** – მერყეობა, სიმტკიცის უქონლობა, ორგულობა. ნასახლარზე ნიადაგი ნოყიერია და ზედ ამოსული ნარიც ტანს სწრაფად იყრის. ნარი წვრილია და მცირე ნიავიც კმარა, რათა მან აქეთ-იქით ქანაობა და რყევა დაიწყოს. ხატოვნად ასე იტყვიან ხოლმე ადამიანზე, რომელიც ერთ წამს რომ აქეთკენ არის, მეორე წამს სხვისკენ გადაიხრება, ერთ წუთს ერთს რომ იტყვის, მეორე წუთს სრულიად საპირისპიროს ამბობს.

**ისეთი ენა აქვს, ხიდან ყვავს ჩამოაგდებს** – მეტად მოქარგული ლაპარაკი იცის, მაგისი ენა ვის არ შეაცდენს, ყველას მოატყუებს.

**მონარეკლება** – ძირფესვიანად მოგლეჯა, ამოთხრა, მოსპობა. პირდაპირი გაგებით ნიშნავს ნარისა და ეკლის მიწიდან ძირფესვიანად ამოთხრას. თუ ნიადაგი ასე არ გაიწმინდა და ნარ-ეკალი ოდნავ მაინც ჩარჩა მიწაში, ისევ გაიხარებს და ნათესს მოედება. მონარეკლება ხატოვნად ნიშნავს ვინმეს ან რაიმეს გაწყვეტას, დათრგუნვას, მოსპობას.

**მოუსვი ბაყაყური!** – თავიდან მომწყდი, სწრაფად მოშორდი აქაურობას. წყალში ცურვისას ბაყაყი წინა და უკანა ფეხებს ერთდროულად ამოძრავებს და ამიტომაც სწრაფად ცურავს. მისი ცურვის მიმსგავსებით ბაყაყური ჰქვია წყალში სწრაფი ცურვის წესს, თავად გამოთქმა „მოუსვი ბაყაყური", მაშინ იხმარება, როდესაც ვინმეს თავიდან მოცილება გვინდა.

**მოღორება** – მოტყუება, შეცდენა, გაცურება. ამ სიტყვას თეიმურაზ ბატონიშვილი თავის „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონში ასე განმარტავს: „როდესაც ღორის დაკვლა უნდა, მოვა პატრონი და უყრის ცოტ-ცოტა საჭმელს, ან სიმინდს, ან ქერს, ან ესე – გვარს რასმე ცოტ-ცოტად უყრის გზაზედ და ისიც მისდევს ჭამით. ამ სახით სახლში შეიტყუებს და სახლში რომ შეიყვანს, დაუყრის კიდევ და ჭამას დაუწყებს ღორი, მაშინ პატრონი კარებს მიხურავს და დაიჭერს ღორსა. მოღორება მოტყუებას ამისთვისა ჰქვიან".

**პირშავი** – მტყუანი, დამნაშავე, უსინდისო, სახელგატეხილი. ძველად საქართველოში დამნაშავის დასჯის ერთ-ერთი სახე იყო პირისახეზე საჯაროდ მურის წასმა ანუ პირის გაშავება. მოსამართლეებად მიჩნეული სოფლის თავკაცები დამნაშავეს (ქურდს, მეძავს) მურით ან ნახშირით უშავებდნენ პირი სახეს. მერე და მერე პირშავი ხატოვნად დაერქვა ყველას, ვინც რამეს აშავებდა და არღვევდა სოფლად დადგენილ ცხოვრების წესს, ხოლო პირშაობა დაერქვა საერთოდ დანაშაულს, უსინდისო საქციელს.

## სიტყვის კონა



**ვეძა** – მლაშე ან მჟავე მინერალური წყალი.

**ვირ-ეშმაკა** – ბრიყვი, მაგრამ თან ეშმაკი ადამიანი.

**ვირგლა** – დიდი, უშნო, ტლანქი და თან ბრიყვი ვინმე.

**ზადი** – ნაკლი, წუნი, მანკი.

**ზეკარი** – უღელტეხილი, გადასასვლელი.

**ზვაობა** – ამპარტავნობა, ზვიადობა, ქედმაღლობა.

**თავხოხობი** – კეკლუცი, ლამაზი, მშვენიერი.

**თვალადი** – კარგი შესახედაობისა, მოხდენილი, ლამაზი, ახოვანი.

**თლაშო** – არყის სასმელი თლილი ჭიქა.

**კავშა** – თეთრფეხა.

**კაკარჭი** – ისრების ჩასაწყობი ბუდე, ქარქაში.

**ტეზი** – ცუდი და ნედლი შეშა

**ვაცი** – მამალი თხა

**ნეზვი** – დედალი თხა

**ჭირკვალი** – ფრიად დახვეული ბილიკი

**ნაჩხატი** – 1-2 წლის მოუხნავი მიწა

**ნალიტა** – დაჩაგრული, დაჩიავებული საქონელი

**ისხარი** – დიდი წვიმა

**მანა** – დაბალი სარი

**ფოშფოში** – თხელი ნისლი

# „თარიკონის" ტრადიციები გრძელდება



თარიკონი ლამაზი მთაა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის საზღვარზე, სწორედ მისი სახელი დაარქვა თავის დროზე ომარ ტვილდიანმა მის მიერ ამბროლაურის რაიონში ჩამოყალიბებულ ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლს. ბატონი ომარი რაიონის მთავარი ქორეოგრაფი გახლდათ და ძალზე ბევრი გააკეთა ქართული ხალხური ცეკვის საუკეთესო ტრადიციების შესანარჩუნებლად და გასავითარებლად. მის მიერ დადგმულმა ცეკვებმა და მთლიანად „თარიკონის" შემოქმედებამ ახალი სიტყვა თქვა ჩვენს ცეკვებში, თავისებური ფერები შეიტანა მათ მრავალფეროვნებაში. ომარ ტვილდიანისეულ „თარიკონში" დაფრთიანებული მოცეკვავეები თუ ქორეოგრაფები წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს სხვადასხვა ქორეოგრაფიულ კოლექტივებში, მათ შორისაა ბატონ ომარის ვაჟი რატი ტვილდიანი, რომელიც პატარაობიდან ცეკვავდა ანსამბლში. სამწუხაროდ, ომარ ტვილდიანი ცოცხალი აღარ არის, მის საქმეს კი შვილი აგრძელებს. იმისათვის, რომ მამის ხსოვნა არ წაშლილიყო და უკვალოდ არ დაკარგულიყო მის მიერ დამკვიდრებული ქორეოგრაფიული ხელწერა, 2001-2002 წლებში რატიმ თბილისში, 21-ე საჯარო სკოლაში (ყოფილი მე-6 გიმნაზია) მეუღლესთან, მაკა მაქაცარიასთან ერთად ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი და მას „თარიკონი" დაარქვა. სკოლის დირექტორის ქალბატონ ნანა ფიფიას და მთელი პედკოლექტივის ხელშეწყობით ანსამბლს დღეს ყველა პირობა აქვს შექმნილი სამუშაოდ და შესაბამისად პირველი მნიშვნელოვანი



გიორგი სურმავა, მიხეილ ნუცუბიძე, ცოტნე მაჭავარიანი

წარმატებებიც უკვე სახეზეა. „თარიკონი" ჩვენმა საზოგადოებამ პირველად 2003 წლის 5 ივლისს იხილა ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის მიერ მომზადებულ სატელევიზიო გადაცემაში, ტელედებიუტს მოჰყვა დებიუტი დიდ სცენაზე, იმავე წელს თარიკონელებმა პროფკავშირთა კულტურის სახლში წარმოადგინეს საკუთარი შემოქმედება და ორიგინალურად დადგმული ცეკვებით, შესრულების დახვეწილი მანერით და ქორეოგრაფიული ტექსტის საინტერესო წაკითხვით დაამახსოვრეს თავი როგორც მაყურებლებს, ისე სპეციალისტებს. პირველი წარმატებებით ფრთაშესხმულმა პატარა მოცეკვავეებმა და მათმა მასწავლებლებმა გაათმაგებული მონდომებით და ძალისხმევით, ამასთან გაზრდილი პასუხისმგებლობით გააგრძელეს მუშაობა და „თარიკონის" მატიანეში ახალი მიღწევები ჩაიწერა – წარმატებული გამოსვლები რკინიგზელთა კულტურის სახლში, ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სუხიშვილების ანსამბლის 60 წლის საიუბილეო ღონისძიებაში, განსაკუთრებით დიდი სიხარული მოუტანა, პატარა მოცეკვავეებსა და მათ პედაგოგებს 2004-მა წელმა – ჯერ იყო და რამდენიმე რესპუბლიკურ ფესტივალზე დაიმსახურეს მაღალი შეფასება, მერე კი „ფოლკლორიადა-2004"-ზე ორ ნომინაციაში მოიპოვეს საუკეთესოს წოდება. თარიკონელთა „სვანური" საუკეთესო ფოლკლორულ ნამუშევრად ცნეს, ამასთან ჟიურის სიმპათიაც სწორედ რატი ტვილდიანისა და მაკა მაქაცარიას მოცეკვავეებს ერგოთ. დიდი მოწონება დაიმსახურა №21 სკოლასთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მსოფლიოს საერთაშორისო ფესტივალზე, საიდანაც ლაურეატის წოდებითა და გრან-პრიით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.

„თარიკონის" შემოქმედებითი ბიოგრაფია გამუდმებით მდიდრდება, მატულობს იმ ღონისძიებების, ფესტივალების თუ დათვალიერება-კონკურსების რიცხვი, სადაც პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცეკვავეები ქორეოგრაფიის ენაზე ყვებიან სამშობლოს ისტორიას, მშობელი ხალხის წარსულზე, კულტურასა და ტრადიციებზე მოუთხრობენ მაყურებელს.

ნებისმიერ საქმეში წარმატება რომ მხოლოდ დაუღალავი შრომით მიიღწევა, ყველა თარიკონელმა იცის. რეპეტიციებზე, რომლებიც კვირაში ოთხჯერ იმართება, მოსამზადებელი ჯგუფის წევრები თითო საათს, ანსამბლის წევრები კი 2-3 საათს მეცადინეობენ, საკონცერტო სამზადისის დღეებში მეცადინეობების სარეპეტიციო მეცადინეობები კიდევ უფრო მეტხანს გრძელდება. ცხრა პირი ოფლის მოწურვამდე იხვეწება თითოეული მოძრაობა, სრულყოფილების მიღწევამდე მუშავდება ყოველი ილეთი. მიზანია ნახაზის უზადობა, მუსიკის რიტმთან თანხმიერება და რაც მთავარია, ცეკვის შინაარსის წვდომა და სიუჟეტის ქორეოგრაფიის ენაზე გადმოცემა. ასეთი დაუღალავი შრომით ქმნიან რატი ტვილდიანი და მაკა მაქაცარია „თარიკონის" რეპერტუარს, რომელიც სადღეისოდ ასე გამოიყურება: „სვანური", „რაჭული", „მოხევური", „ქალთა", „ქალ-ვაჟთა მთიულური", „არაგვისპირული", „ყაზბეგური". ცალკე უნდა შევჩერდეთ „რაჭულზე" – ეს ცეკვა ომარ ტვილდიანმა შექმნა თავიდან ბოლომდე 60-იანი წლების ბოლოს და იმ პირველ „თარიკონში" დადგა. ახლა კი, იგი იმავე სახით მისმა შვილმა აღადგინა. რაჭული ფერხული, სახასიათო ცეკვა „ნაცვლია" სრულდება სიმღერის „ერთხელ წისქვილს წასვლისათვის" ფონოგრამის თანხლებით. ამჟამინდელი „თარიკონის" მიერ ფილარმონიაში წარმოდგენილ „რაჭულს" მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა. ამ ზაფხულს რეპერტუარს ორი ახალი ცეკვა შეემატება – „ფარიკაობა" და „აჭარული". რატი ტვილდიანი და მაკა მაქაცარია უბრალოდ ქორეოგრაფები და ცეკვის მასწავლებლები როდი არიან, ისინი ბავშვებს სამშობლოს სიყვარულს, მისი ტრადიციების პატივისცემას, საქვეყნო საქმის სამსახურს, სიკეთესა და კაცთმოყვარეობასაც ასწავლიან. ბატონ რატის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და თეატრალური სარდაფის მსახიობი გახლავთ, 1994 წლიდან მოყოლებული, თითქმის 10 წელი ცეკვავდა ქორეოგრაფიულ ანსამბლში „მხედრული", დღეს კი ამავე ანსამბლის ქორეოგრაფ-რეპეტიტორია.



ცეკვა „რაჭული"



დავით გვენეტაძე, შოთა ახატაშვილი

ქალბატონ მაკას სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. წლების განმავლობაში ცეკვავდა სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში „რუსთავი", ამჟამად კი „მხედრულში" ცეკვავს. მათი შვილი თეკლა ჯერ მხოლოდ ხუთი წლისაა და მაყურებლის როლით კმაყოფილდება, მერე კი ვნახოთ...

„თარიკონის" ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ თუ არა თბილისის 21-ე საჯარო სკოლის დირექციის, პედკოლექტივის მაქსიმალური ხელშეწყობა და ბავშვების მშობლების თანადგომა, წინსვლა – წარმატებების მიღწევა გაძნელდებოდა, ქალბატონი მაკა და ბატონი რატი დიდ მადლობას უხდიან მათ და რაღა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ბავშვებს, რომლებიც ასეთი დიდი სიყვარულით, მონდომებით, ინტერესით, დაუღლელი შრომის ფასად სწავლობენ ქართულ ხალხურ ცეკვებს და ამით საკუთარი წვლილი შეაქვთ ჩვენი ეროვნული ტრადიციების გაფრთხილებისა და დაცვის მამულიშვილურ საქმეში.

დაიმახსოვრეთ ეს მისამართი, თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა №7, 21-ე საჯარო სკოლა, და თუ ქართული ცეკვის და ხელოვნების დაუფლებას მოინდომებთ, მიაკითხეთ „თარიკონს".



ლაშა, ნინო და ბექა ხამუკაშვილები

# გიწვევთ ფრანების ფესტივალზე

ჩვენ, „ნაკადულის“ რედაქციამ და საქართველოს ბავშვთა საერთაშორისო ფონდმა „ვუნდერკინდი“, გადავწყვიტეთ ჩავატაროთ ჩვენს ქვეყანაში პირველი ფრანების ფესტივალი. ეს ლამაზი ფესტივალი ზაფხულში, სავარაუდოდ ივნისში გაიმართება. სავარაუდოდ იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ფრანის გასაშვებად შესაბამისი ამინდი, ნიავქარია საჭირო. ფესტივალის გამართვის ზუსტი თარიღი სულ მალე დაზუსტდება, თქვენ კი დროს ნუ დაკარგავთ და ამასობაში მოდელების დამზადებას მოჰკიდეთ ხელი, ახლავე ემზადეთ ფრანების აღლუმისთვის, „ნაკადულის“ ამ ნომერში გთავაზობთ რამდენიმე მოდელის ნიმუშს, ჟურნალის მომდევნო ნომრებში კი კიდევ რამდენიმე უფრო რთული მოდელის დამზადებას გასწავლით.

მაშ ასე, გიწვევთ საქართველოში პირველი ფრანების ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. გარდა იმ დიდი სიამოვნებისა, მარტო ჰაერში აჭრილი საკუთარი ნახელავი ფრანის ფრენა რომ მოჰგვრის ყოველ თქვენგანს, საუკეთესო მოდელების ავტორებს ჯილდოებიც ელის.

გთავაზობთ კოლოფა ფრანის კონსტრუქციის აღწერილობას. იგი იმით არის საინტერესო, რომ უკუდოდაც მშვენივრად დაფრინავს, შეუძლია 200-300 მეტრის სიმაღლეზე აიჭრას და დიდხანს ილივლივოს იქ თქვენი გულის გასახარად.




ეს ფრანი კოლოფს ჰგავს და ამიტომაც ჰქვია „კოლოფა“. გირჩევთ კოლოფებს მსუბუქი ქსოვილი (აბრეშუმი ან ტილო) შემოაკრათ, ხოლო თუ ასეთი არ გექნებათ, მაგარი შესაფუთი ქაღალდიც გამოგადგებათ.





ამ ფრანის დეტალების ზომები და საერთო სახე წარმოდგენილია ნახატზე. როგორც ხედავთ, მისი აგება დიდ ოსტატობასა და დიდი რაოდენობით მასალას არ მოითხოვს.

თუ რაიმე მიზეზის გამო კოლოფა ფრანის გაკეთება გაგიჭირდათ, თუნდაც აქ მოცემული რამდენიმე მარტივი კონსტრუქცია მაინც ააგეთ.





# პოეზიის მარგალიტები



## კოლაუ ნადირაძე

### წინამურიდან საგურამომდე
(პავლე ინგოროყვას)

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი
და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის
გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე აშრიალებულ
ფოთლების ზღვაა.
ისევ დუდუნი ისმის არაგვის,
ისევ ბიბინებს არაგვის ველი,
ღამით ამოსულ და აყვავებულ
ვარსკვლავებს დილა მოთიბავს ცელით,
ღამით ამოსულ და აყვავებულს ნიავს
არაგვი დილამდე ელის,
ჰეი, არაგვო, არაგვიანო,
გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
შენს სამას შვილზე ხომ არა დარდობ? –
გეავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი შხეფები –
ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!
ჰეი, არაგვო, მიამბე მაინც შენს
სამას რაინდს თუ რას უმღერდი,
როგორ ალზარდე ქართულ ქოხებში
და ქართულ აკვანს როგორ ურწევდი!
ჰოი, არაგვო, მაშინაც, ალბათ,
ამავე სევდას მოაქუხებდი!
არავინ იყო ამბის მომტანი,
არ გინათებდა გულს ალიონი,
აღარ გესმოდა „ვინაც მოუკლავს“,
არ გუგუნებდა ზარი სიონის,
შენ დაგტიროდა მხოლოდ მოხუცი: –
დამარცხებული ბაგრატიონი!...
გზა ეკლიანი და უღაბური გმირებს და
მგოსნებს გაუკაფიათ!
საით ისწრაფვი მაინც, არაგვო,
და მიაშფოთებ ტალღებს ქაფიანს?
მცხეთის კარამდე დიდი ჩრდილებით
მთებს შენი ტანი დაუფანტიათ!
მცხეთის კარამდე გაისმის ძლების
და მუზარადის მსხვრევის ხმაური!
მცხეთის კარამდე წარსულ ბრძოლების
ისევ ამტყდარა აურზაური,
მცხეთის კარამდე რეკავს ჯავშანზე
დაჯახებული ხმალი ფშავური!
წიწამურიდან გულის კარამდე
ერთი გზა მოდის – გზა სისხლიანი!
ისევ ჰყივიან ცაში არწივნი და
შრიალებენ მთანი ტყიანი;
მთებში ირმების ისმის ყვირილი
გულის მზარავი და სევდიანი.
ეგების მკერდში დასჭრეს ირემი და
არ ურჩება ბეჩავს იარა?
განგმირულ შუბლით ეკლიან გზაზე
ისევ მგოსანმა თუ გაიარა?
ეგების ამცნო მთებს საიდუმლო
და დიდი ფიქრი გაუზიარა?
ჰოი, არაგვო, არაგვიანო,
გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
მოკლულ პოეტზე ხომ არა დარდობ? –
გყავდა და თითქო არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი შხეფები, –
ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!
ჰოი, არაგვო, მიამბე მაინც,
როგორ დაეცა ეს გოლიათი?
ეგების შესწყდა ვარსკვლავთ კაშკაში,
გადაეფარა მიწას წყვდიადი,
და დამწუხრებულს, კაეშნით მოცულს,
მზესაც ამოსვლა დაუგვიანდა?
შთაგონებული სიმღერა მისი აღარ
– მოესმის მიდამოს შენსას,
ალბათ, მისთვის ხარ გულჩათხრობილი
და აღარ ცხრება ტალღების კვნესა!
ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები
ახლაც აცხია მიწას და ქვებსა!
წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი
და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის
გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე დიდი მთები
და უძირო ცაა.

# მსოფლიოს კიდიდან კიდემდე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გერმანია

### სკოლაში ბადრაგის თანხლებით

გერმანიის ფედერალური მიწის, ბავარიის წესრიგის დამცველებს უჩვეულო მოვალეობა დააკისრეს: ამიერიდან მათ სკოლის გამცდენი, „შატალოზე" გაპარული მოსწავლეებიც უნდა დაიჭირონ. ფორმიანმა თუ სამოქალაქო ტანსაცმლიანმა პოლიციელებმა უკვე დაიწყეს მოზარდების და ახალგაზრდების ყველაზე ხალხმრავალი ადგილების – სადგურების, სათამაშო ავტომატების დარბაზების, დიდი უნივერმაღების თვალთვალი. ზარმაცების გამოვლენის შემთხვევაში მათ დაუყოვნებლივ აბრუნებენ სკოლაში, მათ შორის საპატრულო მანქანებითაც. პოლიციელების მოტყუება-გაცურება შეუძლებელია, მოსწავლეების ყველა ხრიკისა და ტყუილის შემოწმება სულ ადვილად შეიძლება, საამისოდ სკოლაში დარეკვაც კმარა. ასეთი გზით მოკლე ხანში პოლიციელებმა 160-მდე „შატალოზე" წასული მოსწავლე დააბრუნეს სკოლაში.

## ბელგია

### სასჯელი ოროსნებისათვის

ბოლო დრომდე ბელგიის სამსაფეხურიან სკოლებში ჩამორჩენილ მოსწავლეებს იმავე კლასში მეორე წლით არ ტოვებდნენ, ოროსანი სხვებთან ერთად გადადიოდა შემდეგ კლასში. საგანმანათლებლო რეფორმის შემდეგ კი გადაწყდა, ოროსნები მეორე წლით დატოვონ. ამ გადაწყვეტილებამ მშობლების აღშფოთება გამოიწვია. საქმე ის არის, რომ ბელგიაში სწავლის ხარჯების უდიდეს ნაწილს სახელმწიფო იხდის, ახალი პროექტის თანახმად კი მეორეწლიანებმა სწავლაში ფული უნდა იხადონ. საბოლოოდ მშობლები და განათლების მესვეურნი იმაზე შეთანხმდნენ, რომ იმავე კლასში მხოლოდ იმ მოსწავლეებს დატოვებენ, რომლებიც აშკარად ზარმაცობენ, ხოლო ჩამორჩენილობის ნამდვილ მიზეზს ბავშვთა ან მოზარდთა ფსიქოლოგები დაადგენენ. მათი დასკვნის საფუძველზე თუ მოსწავლე ავადმყოფობის გამო კი არა, უბრალოდ სიზარმაცის გამოა ოროსანი, იგი მომდევნო კლასში ვერ გადავა. მეორეწლიანები განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა ჩაუსხდნენ იმ საგნებს, რომლებსაც წინა წელს გული ვერ დაუდეს, დანარჩენ დროს კი უნდა იმუშაონ. ერთადერთი შეღავათი ასეთი მოსწავლეებისათვის ის იქნება, რომ სამუშაოს თავისი სურვილით არჩევის საშუალება მიეცემათ.

## ავსტრია

### სწავლა უჩვეულოდ და უწიგნოდ

კარგა ხანია ავსტრიის სკოლებში ურვეულო სწავლაზე გადავიდნენ. რაღაც წიგნები და ჩანაწერებისათვის განკუთვნილი რვეულები ცხადია, რჩება, მაგრამ მოსწავლე-მასწავლებლების მთელი ურთიერთობა კომპიუტერული ქსელის მეშვეობით ხორციელდება. ეს სიახლე საბოლოო შემოწმება უნდა გახდეს მანამ, ვიდრე ავსტრიული სკოლების ტოტალურ კომპიუტერიზაციაში პირველი მილიარდი შილინგი ჩაიდება.

## კვიპროსი

### დედა დაასმინა

პატარა დიმასოლელ მოსწავლეს მობეზრდა საღამოობით შინ მარტო ყოფნა. დედამისი, ბანქოს თავდადებული მოთამაშე, როგორც კი აჭმევდა თავის შვილს და გაკვეთილებსაც შეუმოწმებდა, ბანქოს სათამაშოდ მიდიოდა. ბიჭმა ველარ მოითმინა და პოლიციაში დარეკა, დედის დაბრუნებაში დამეხმარეთო. ბავშვმა მისამართიც დაუსახელა პოლიციელებს და ისიც უთხრა, რომ იქ თავმოყრილი ქალები ფულზე თამაშობდნენ (კვიპროსზე კაზინოებიც აკრძალულია და ბანქოს ფულზე თამაშიც). პოლიციამ დასახელებულ მისამართზე 85 წლამდე ასაკის ოცდაათამდე ბანქოს მოთამაშე ქალი აღმოაჩინა. აზარტულ ქალბატონებს წერილობითი ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს და შინ გაისტუმრეს.

# უცნაური არსებები



### ხალებიანი კუსკუსი

**სად ცხოვრობს?** ახალ გვინეასა და ავსტრალიაში.

**რით არის უცნაური?** მაიმუნს ჰგავს, თუმცა ჩანთოსან ცხოველებს განეკუთვნება. შვილებსაც კენგურუსავით ჩანთით დაატარებს.



### გულწასული თხა

**სად ცხოვრობს?** ძირითადად აშშ-ში.

**რით არის უცნაური?** თუ რაღაცის შეეშინდა, ამ იშვიათი ჯიშის თხას „გული მისდის“, 15 წამითის შემდეგ კი თითქოს არაფერი მომხდარაო, ის კვლავ ფეხებზე წამოხტება.

### ჰაულიოდი



**სად ცხოვრობს?** ზღვებსა და ოკეანეებში 500-1000 მეტრის სიღრმეზე.

**რით არის უცნაური?** – თუმცა სულ რაღაც 30-40 სანტიმეტრის სიგრძისაა, ჰაულიოდი მძვინვარე მტაცებელია, მას იმდენად დიდი კბილები აქვს, პირს ვერც კი ხურავს.



### ოქროს თევზი წყლიანი თვალებით

**სად ცხოვრობს?** მხოლოდ აკვარიუმებში.

**რით არის უცნაური?** ამ თევზს თვალების ირგვლივ იმდენად დიდი და მძიმე სითხით სავსე პარკები აქვს, რომ რაიმეს დანახვა უჭირს. დროდადრო იგი იძულებული ხდება პარკები ქვაზე ჩამოდოს, რათა ცოტათი მაინც მოითქვას სული და დაისვენოს.



### გატერია

**სად ცხოვრობს?** ახალ ზელანდიაში

**რით არის უცნაური?** ამ ქვეწარმავლის წინაპრები დაახლოებით 200 მილიონი წლის წინათ, დინოზავრების ხანაში ცხოვრობდნენ. გატერიას თავზე მესამე, კანქვეშ დამალული თვალი აქვს. გატერიები 300 წლამდე ცოცხლობენ!

# „შაბათის შოუს" ვარსკვლავები სტუმრად „ფლოროში"















ნაძალადევის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ესპერანტო კლუბ „ფლოროს" დამაარსებელმა და არსებობის 27 წლის მანძილზე მისმა უცვლელმა ხელმძღვანელმა ქალბატონმა ლამარა ცუცქირიძემ, რომელიც არაფერს იშურებს, ოღონდ კი თავის აღსაზრდელებს ასიამოვნოს, არც ამჯერად გააწბილა ისინი და დიდი ხნის ოცნება შეუსრულა – „ფლოროში" სტუმრად „შაბათის შოუს" წამყვანები მიშა ანდღულაძე და ნიკა გრიგოლია მოიწვია. ამიტომაც მოუხაროდათ იმ დღეს ჩვეულებრივზე მეტად პატარებს საყვარელ კლუბში, ამ[...] ტომაც მოჰყვა მათ უამრავი მეგობარი თუ ნათესავი, რომლებიც თუმცა კი „ფლოროს" წევრები არ არიან, მაგრამ დღე[...] ჩვენში ყველაზე პოპულარული და რეიტინგული ტელეშო[...] ვარსკვლავებთან უშუალოდ შეხვედრის შესაძლებლობით ის[...] რგებლეს და დანიშნულ დროზე ადრე მიაშურეს თ. ერის[...] ვის ქუჩაზე მდებარე მოსწავლეთა სახლს.

პატარებისთვის ეს შეხვედრა ნამდვილ ზეიმად იქ[...] გოგო-ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ სტუმრებთან ერთა[...] სურათების გადაღებაში. ამიტომაც ჭარბობს დღეს ჩვენს ჟუ[...] რნალში „ფლოროს" წევრებისა და შაბათის შოუს მონაწ[...] ლეთა ფოტოები. თუ ამ ფოტოებს დააკვირდებით, შეამჩნევ[...] რომ ქალბატონი ლამარა ცუცქირიძის და მისი მოსწავლ[...] ების გარდა მიშას და ნიკას (ფლოროელებიც, მრავალი ტ[...] ლემაყურებლის მსგავსად, ასე უშუალოდ, სახელებით მოიხ[...] ნიებენ მათ) ორი მომხიბვლელი ქალიშვილი და სიმპათიურ[...] მანდილოსანი უმშვენებდნენ მხარს. ერთი ქალიშვილი მი[...] ანდღულაძის საცოლე მარინა უძილაურია (მარინა ივ. ჯავა[...] ხიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის IV კუ[...] რსის სტუდენტია) მეორე – ნიკა გრიგოლიას საცოლე მარი[...] ნას და იოანა უძილაურია (იოანა ივ. ჯავახიშვილის სახ. სა[...] ხელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კულტურ[...] ლოგიის სპეციალობის მესამეკურსელია), სიმპათიური ქალბა[...] ტონი კი ამ ქალიშვილების დედა, ანუ მიშას და ნიკას საერთ[...] სასიდედრო, ისტორიკოსი ციცინო ქვანია გახლავთ. მას შე[...] მდეგ, რაც სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთი გაიცვნეს და უ[...] მრავ ურთიერთსაინტერესო კითხვაზეც მიიღეს პასუხ[...] „ფლორომ" საკუთარი შემოქმედება წარმოადგინა. სტუმრე[...] ალტაცებულები დარჩნენ პატარების მიერ ქართულ თუ ესპე[...] რანტო ენაზე შესრულებული სიმღერებით, ცეკვებით, სა[...] ერთოდ „ფლოროს" საქმიანობით, იქ არსებული ესპერანტო მუზეუმით.მათ დიდი მადლობა გადაუხადეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელობას (დირექტორი ქალბატონი ლია გაგნიძე) „ფლოროს" სულისჩამდგმელსა და ხელმძღვანელს, ქალბატონ ლამარა ცუცქირიძეს, თითოეულ ბავშვს და აღნიშნეს, რომ ასეთი გულთბილი შეხვედრა მათთვის არსად მოუწყვიათ, რომ არსად უგრძვნიათ ასეთი დიდი სიყვარული და არსად შეხვედრიათ საკუთარი შემოქმედების ესოდენ მაღალი რეიტინგი.

ერთი სიტყვით, ნაძალადევის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის 27 წლის ესპერანტო კლუბში „ფლორო" მორიგი დღესასწაული შედგა, რომლის მონაწილენი მიწვეულ სტუმრებთან ერთად იყვნენ:

ლიკა ჯანაშვილი (საესტრადო სასწავლებლის კურსდამთავრებული), თამუნა ჯიჯურიძე (საესტრადო სასწავლებლის კურსდამთავრებული), მაკა ბარბაქაძე (საესტრადო სასწ. სტუდენტი), ბექა პაიჭაძე (თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი), გიორგი გაგნიძე (თბილისის №113-ე საშ. სკოლა), მანონი გელაშვილი (№141 საშ. სკოლა), ნინო აბესაძე (№141 საშ. სკოლა), მარი ახალაძე (№112 საშ. სკოლა), მარიამ გელაშვილი (№11 სკ), ლაშა გელაშვილი (№11 სკ.) ანი გიორგაძე (№141 საშ. სკ.), თამთა გიორგაძე (№114 საშ. სკ.), თინიკო კვიჟინაძე (№13 საშ. სკ.) თეა კვიჟინაძე (№13 სკ.), მეგი სალარაძე (კოლეჯი), ნინო კობახიძე (№141 საშ. სკ.) თამარ კობახიძე (№141 საშ.სკ.) ქეთი კობახიძე (№141 საშ.სკ.) თეონა კეპულაძე (№10 საშ.სკ.), მონიკა კეპულაძე (№10 საშ.სკ.), სოფო სიხარულიძე (№141 საშ.სკ.) ლუკა გაგნიძე (საბავშვო ბაღი), ქეთი თოდაძე (ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სასწ.), ნინო ნადირაძე (სამუსიკო სასწ.), თამარ ჭიღლაძე (№141 სკ.), ირაკლი ჭიღლაძე (ესპანური სკოლა), ნინო ჩარკვიანი (№15 სკ.) ანი ჩარკვიანი (№15 საშ.სკ.), სალომე ჭინჭარაული (№15 საშ.სკ.), ვანო შიუკაშვილი (№112 სკ.), თამარ შიუკაშვილი (№112 საშ. სკ.) ლელა ფარქოსაძე (№112 საშ.სკ.) ნინო ზაზიაშვილი №112 საშ. სკ.) ნათია გაგნიძე (№141 სკ.) ნანა უგულავა (№141 საშ. სკ.) ნათია უგულავა (№141 საშ. სკ.) ნინო ჩიტაური (სტუდენტი), თეონა ჯელაძე (სტუდენტი), რუსუდან ტეფნაძე (№141 საშ. სკ.), მაგდა ნარიმანიძე (№141 საშ. სკოლა).

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

# ვინ, რა? როგორ? რატომ? სად? როდის? რამდენი?

## ვინ გამოიგონა გამრავლების ცხრილი?

ზუსტად არავინ იცის, ვინ მოიგონა გამრავლების ტაბულა, თუმცა ახლახან არქეოლოგების მიერ ჩინეთის სამხრეთში აღმოჩენილი უძველესი ბამბუკის ფირფიტა გვაფიქრებინებს, რომ ისევე, როგორც ფაიფური, ქაღალდი და დენთი, გამრავლების ტაბულაც პირველებმა ჩინელებმა შექმნეს. საქმე ის არის, რომ 2000-ზე მეტი წლის ამ ფირფიტაზე სწორედ გამრავლების ტაბულაა გამოსახული.

## რისთვის სჭირდება ვეშაპს შადრევანი?

ვეშაპი ფილტვებითა და თავზე არსებული ორ ხვრელის საშუალებით სუნთქავს. ვიდრე ვეშაპი წყალში იმყოფება, ხვრელები პატარა სარქველებით არის დახურული, ხოლო როდესაც ჰაერის ჩასასუნთქად ამოდის წყლის ზედაპირზე (ამას კი იგი ყოველ 5-10 წუთში აკეთებს), ის ჯერ ამ ხვრელებით გადამუშავებულ ჰაერს უშვებს. ჰაერში შემავალი ორთქლი წყლის წვეთებად გადაიქცევა და ასე ჩნდება შადრევანი. გამოცდილ მეზღვაურებს შადრევნის მიხედვით ვეშაპის სახეობის დადგენაც კი შეუძლიათ. მაგალითად, სამხრეთული ვეშაპების მიერ ამოტყორცნილი შადრევანი 4-5 მეტრის სიმაღლეს აღწევს და ზევით ორად იყოფა.



## რატომ მოკლდება ან გრძელდება ტანსაცმელი გარეცხვის შემდეგ

ყველაფერი დამოკიდებულია იმ ბოჭკოებზე, რომლებისგანაც ქსოვილები შედგება. ხელოვნური ბოჭკოები, მაგალითად, ნეილონი და პოლიესტერი, მტკიცეა და ელასტიური. ისინი ძალიან მაგრად გაწურვის შემდეგაც კი ინარჩუნებენ საწყის ფორმას. ნატურალური ქსოვილების (ბამბა, შალი, სელი) ბოჭკოები მტკიცე არ არის და გაწურვისა და გაშრობის შემდეგ (განსაკუთრებით სარეცხ მანქანაში) ისინი ტყდება. შეიძლება მაისური 3-4 სანტიმეტრით შედგეს, მაგრამ თუ ნატურალური ქსოვილების ტანსაცმელს სველ-სველს ჩამოკიდებთ გასაშრობად, ბოჭკოები გაიჭიმება და ტანსაცმელიც დაგრძელდება.



## რატომ გადმოდის რძე?

საქმე ის არის, რომ წყლის გარდა, რძე შეიცავს ცხიმებს, ლაქტოზას (რძის შაქარს), ვიტამინებს და სხვადასხვა ცილებს, მაგალითად, ალბუმინს. ხარშვის პროცესში ცილა



ზედაპირზე ამოდის და აპკს ქმნის. ზევიდან ცილის მჭიდრო ფენით დაფარული სითხე დუღილისას გარეთ გამოსვლის ძიებაში ნალების „ქერქის" ერთიანობას არღვევს და ქურაზე გადმოდის.

## მართალია, რომ ხარს წითელი ფერი აღიზიანებს?



ხარს მულეტის წითელი ფერი კი არ აღიზიანებს, რომელსაც ტორეადორი ცხვირწინ უფრიალებს, არამედ მისი მუქარის შემცველი მოძრაობები. ხოლო ვინაიდან ხარები არამცთუ ვერ არჩევენ ფერებს, არამედ ბეცებიც არიან, ქსოვილის ნებისმიერი ნაჭრის ფრიალს ისე აღიქვამენ, როგორც უხილავი მოწინააღმდეგის გამოწვევას და გაბოროტებული მიიწევენ მისკენ. სხვათა შორის, თითქმის ყველა ცხოველი სამყაროს სამ განზომილებაში, მაგრამ თითქმის უფეროდ ხედავს. მაგალითად, ჩანთოსან ვირთხებს და ენოტებს ყველაფერი შავ-თეთრად ეჩვენებათ. კატისა და ძაღლის მხედველობისთვის წითელი და მწვანე ტონები მიუწვდომელია. ყველაზე უკეთესად კი ფერებს მაიმუნები, განსაკუთრებით კი შიმპანზეები არჩევენ.

# სკოლა ლამაზი სახელით „მზეკაბანი“

„მზეკაბანი“ – აი, ასეთი ლამაზი სახელი ჰქვია რუსთავის კერძო საშუალო სკოლას უცხო ენების გაღრმავებული სწავლებით, რომელმაც ქალაქის ძველ უბანში მყუდრო ქუჩაზე დაიდო ბინა. სკოლის შექმნის იდეის ავტორი, რუსთავის №2 საშუალო სკოლის დირექტორი, განათლების სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე საუკეთესო პროფესიონალი და მენეჯმენტის გაძღოლის ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ბელა ჯანგიძე დაფუძნების მიზნებზე საუბრობს: „მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება ყოველთვის შედიოდა ჩემი ზრუნვისა და ინტერესების სფეროში. ამ მხრივ სასურველი შედეგების მიღწევის კარგ პირობად მიმაჩნდა სკოლის დაკომპლექტება მცირერიცხოვანი კლასებით, რის უფლება-შესაძლებლობაც სახელმწიფო სკოლაში არ გვქონდა. ასევე მაწუხებდა და მაწუხებს უმუშევარ პედაგოგთა ბედი. კვალიფიციურ პედაგოგთა დასაქმება და სწავლების უკეთესი პირობების შექმნა იყო ის უმთავრესი, რამაც განაპირობა ამ სკოლის დაარსება.



სკოლის დირექტორი ზაირა კიკნაველიძე

იმაზე, თუ რამდენად გაამართლა ჩანაფიქრმა და რა ცხოვრებით ცხოვრობს დღეს „მზეკაბანი“, სკოლის დირექტორი ქალბატონი ზაირა კიკნაველიძე გვესაუბრება: დაარსებიდან ერთი წლის თავზე სკოლამ 3 კურსდამთავრებულს დაულოცა გზა, წელს კი 7 მოსწავლე აფრინდება ჩვენი ბუდიდან“. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სკოლის ყველა კურსდამთავრებული დღეს სტუდენტია. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რათა მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მშობლისა და მოსწავლის ინტერესები, დროის მოთხოვნები, მშობლებიც შეძლებისდაგვარად ჩვენ გვერდით დგანან, ყველა საკითხის მოგვარებაში გვეხმარებიან. თუმცა, სკოლა ჯერ ისევ ნაქირავებ ბინაშია და იჯარის ფულს ვიხდით, მაინც ვახერხებთ და ხელს ვუწყობთ ობლებს და ხელმოკლე ოჯახებს და გადასახადისგან ვათავისუფლებთ მათ.

სკოლა გაზიფიცირებულია და მშობლების თანადგომით ყველა საკლასო ოთახში სითბო ტრიალებს. სკოლაში I კლასიდან ისწავლება ორი უცხო ენა – რუსული და ინგლისური, V კლასიდან – გერმანული. მეშვიდეკლასელები ჟურნალისტიკის საფუძვლებს ეუფლებიან. XI კლასში პროფილურ საგნებში გაძლიერებული სწავლება გვაქვს, რაც რეპეტიტორებთან მომზადების ტოლფასია. პატარებისთვის მუშაობს გახანგრძლივებული ჯგუფი.

სკოლის ბიბლიოთეკაში ცენტრალიზებული წესით შემოგვაქვს ლიტერატურა ქალაქის ბიბლიოთეკიდან, მერე კი უკან ვუბრუნებთ. სკოლის ბიბლიოთეკის შევსება-გამდიდრებაში მოსწავლეები და მათი ოჯახები გვეხმარებიან.

რაც შეეხება პედკოლექტივს, ის ძირითადად ახალგაზრდა კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. ჩვენი სკოლის შვიდმა პედაგოგმა გაიარა არასამთავრობო ორგანიზაციის „სკოლა, ოჯახი, საზოგადოების“ ფასიანი ტრენინგი „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისთვის“. მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ამა თუ იმ საკითხისადმი ახლებური მიდგომა, პროგრესული მეთოდები, თანამედროვე ხედვა მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებში აისახება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

როცა საქმე კეთდება, ნდობის ფაქტორიც მატულობს. სასწავლო პროცესის წარმართვაში პედაგოგებს სრული თავისუფლება აქვთ. ამ საკითხში თავს ჩარევის უფლებას არ ვაძლევ. მთავარია შედეგი, ხოლო გარჯას შედეგი რომ საუკეთესო მოსდევს, ამაზე მეტყველებს თუნდაც რუსული ანბანის ზეიმით გაცილება (პედაგოგი ნანული ლოლაძე), ქართული ენისა და ლიტერატურის ღია გაკვეთილი III კლასში (პედაგოგი ნინო ოსიტაშვილი), ფიზიკის ღია გაკვეთილი VII კლასში (მასწავლებელი ლალი მდივნიშვილი) და სხვა.

როგორ ხდება მოსწავლეთა დაინტერესება? – ამ კითხვას სასწავლო ნაწილის გამგე ირინე მურჯიკნელმა გასცა პასუხი: – შრომა სრულფასოვანია მაშინ, როცა მას დასვენება ახლავს. ექსკურსიები ჩვენი სკოლის ცხოვრების რიტმია. მცხეთა, ჯვარი, სვეტიცხოველი, ბოდბის დედათა მონასტერი – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ისტორიული ადგილებისა, ჩვენმა მოსწავლეებმა რომ მოინახულეს. მორიგი მარშრუტებიც დაგეგმილია, გამოიამინდებს და კვლავ დავადგებით გზას.

სკოლაში ხშირად ვაწყობთ შეჯიბრებებს, კოსტიუმირებულ ვიქტორინებს. ვატარებთ წრეობრივ მუშაობას, სადაც მოსწავლეები მათთვის საგულისხმო ბევრ კითხვაზე იღებენ პასუხს. ჩვენი მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. მე-60 საქალაქო კონფერენციაზე წარმატება წილად ხვდათ ალეკო ასათიანს – ბოტანიკაში (პედ. ირინე მურჯიკნელი), ქეთინო ინასარიძეს – ქიმიაში (პედ. ფიქრია დუნდუა), თამთა ნარიმანაშვილს – ქართულში (პედ. ეკა კაპანაძე) და სხვებს. ეს გამარჯვება არც პირველია და არც უკანასკნელი. ჩვენ შრომაც ვიცით და თანადგომაც, ამასწინათ, მოვაწყეთ თვითნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხით მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს დავეხმარეთ, თან ვუჩვენეთ წარმოდგენა „XXI საუკუნის წითელქუდა“. კიდევ ბევრი საინტერესო რამ გვაქვს ჩაფიქრებული და დაგეგმილი.“

ვინც „მზეკაბანის“ ცხოვრებას იცნობს, დარწმუნებულია, რომ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც, თავიდანვე დამკვიდრებული ტრადიციით, მომავალშიც ყველა ჩანაფიქრს შეასხამენ ფრთას და ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწევენ.

# ვინ არიან კამიკაძეები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კამიკაძე „ღვთიურ ქარს“ ნიშნავს



აშშ-ს დედაქალაქში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა, მათი განხორციელების ხერხებმა კვლავ აქტუალური გახადა იაპონური წარმომავლობის მცნება „კამიკაძე“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დავიწყებას მიეცა.

სიტყვა „კამიკაძე“ მსოფლიოს მრავალ ენაშია შესული, ხოლო ბოლო ხანებში მას ძალიან ხშირად ხმარობენ, როცა გადმოსცემენ ცნობებს პლანეტის ცხელი წერტილებიდან. ეს იაპონური სიტყვა XIII ს. გაჩნდა. ეს ის დროა, როდესაც მონღოლებმა ჩინეთი დაიპყრეს და ახლა იაპონიის დამორჩილებაც მოინდომეს. ჩინგიზ ხანის შვილიშვილმა, ჩინეთის ბოგდიხანმა, რომელიც ხუბილაების მონღოლური დინასტიის წარმომადგენელი იყო, ორჯერ, 1271 და 1281 წლებში გაგზავნა იაპონიაში საზღვაო ექსპედიციები, მაგრამ ანაზდად ამოვარდნილი ტაიფუნების შედეგად მტრის გემები ორივეჯერ დაიღუპა,. იაპონელებმა მიიჩნიეს, რომ ამაში ღმერთების ხელი ერია და ამ ტაიფუნებს „კამი კაძე“, ანუ „ღვთიური ქარი“ უწოდეს.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წელს, როდესაც ნათელი გახდა, რომ მოკავშირეთა ფლოტი მალე უკან დაიბრუნებდა იაპონიის მიერ დაპყრობილ ფილიპინებს, ტაიფუნები კი ამ დროს დუმდნენ, იაპონელებმა გადაწყვიტეს თვითონვე, საკუთარი ძალებით მოეწყოთ „ღვთაებრივი ქარი“. რა დარწმუნდა, რომ ამერიკელებს პრაქტიკულად ყველა რგოლში უპირატესობა ჰქონდათ, იაპონიის სარდლობამ დაასკვნა, რომ იაპონელ ჯარისკაცებს შეეძლოთ ერთადერთი რამით ეჯობებინათ მოწინააღმდეგისთვის – საბრძოლო სულისკვეთებით. იდეა მდგომარეობდა მტრის ფსიქოლოგიურ დათრგუნვაში, დემორალიზებაში. მისი განხორციელების შედეგად მტერს ბრძოლის გაგრძელების სურვილი უნდა წართმეოდა, რასაც საბოლოო ჯამში იაპონელებისვის გამარჯვება უნდა მოეტანა. ასე შეიქმნა პირველი სპეციალური რაზმი, რომელსაც თავდადებული მებრძოლი ადმირალი ტაკიძირო ონისი ჩაუდგა სათავეში. პირველი შეტევა კამიკაძეებმა 1944 წლის 25 ოქტომბერს განახორციელეს ფილიპინების კუნძულ ლეიტეს რაიონში. მასში მონაწილეობისათვის 26 გამანადგურებელი მომზადდა. მათ ნაწილს სხვების დაფარვა ჰქონდათ დავალებული დანარჩენებს კი თვითმკვლელთა მისიის აღსრულება ელოდა. ხუთმა გამანადგურებელმა (თითოეულ მათგანს თან 250 კილოგრამიანი ბომბი ჰქონდა) მიზანს მიაღწია: ამერიკული ავიამზადი „სენტლო“ ჩაიძირა.

ოპერაციის წარმატებამ ფრთები შეასხა იაპონიის სარდლობას და გადაწყდა შეექმნათ კამიკაძეების ახალი რაზმები, როგორც სამხედრო-საზღვაო, ასევე სამხედრო-საჰაერო ძალებში. მომდევნო თვეებში ანალოგიური მისიის შესასრულებლად 2000 თვითმფრინავი მომზადდა, მათგან 1192-მა მისია შეასრულა. აშშ-მ მხოლოდ ომის შემდეგ გამოაქვეყნა თავისი დანაკარგები: თვითმკვლელთა ესკადრილიებმა 34 ამერიკული ხომალდი ჩაძირეს, კიდევ 288 კი დააზიანეს. იაპონური წყაროებით, წყნარ ოკეანეში ომის ბოლო ეტაპზე ამერიკელთა დანაკარგების 80 პროცენტი სწორედ კამიკაძეების ანგარიშზე მოდის.

კამიკაძეთა დარტყმებმა აპოგეას მას შემდეგ მიაღწია, რაც 1945 წლის აპრილში კუნძულ ოკინავაზე ბრძოლები დაიწყო. ამჯერად, თვითმფრინავების გარდა, სხვა საშუალებებიც გამოიგონეს, მათ შორის, ტორპედოები,

რომლებსაც შიგ მსხდომი სასიკვდილოდ თავგანწირული ადამიანები მართავდნენ, ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე კატარღები და მომცრო წყალქვეშა ნავები. კამიკაძეების თავგანწირვამ ომის მსვლელობა მაინც ვერ შეცვალა. 1945 წლის აგვისტოში იაპონიის იმპერატორი იძულებული გახდა კაპიტულაცია გამოეცხადებინა, რამდენიმე დღეში კი ადმირალმა ტაკიძირო ონისიმ ჰარაკირის გამოყენებით მოიკლა თავი.

იაპონელი თვითმკვლელი მფრინავების ყოველი გამოჩენა საშინელ პანიკას იწვევდა ამერიკელ ჯარისკაცებში, რომლებსაც პირველად ჰქონდათ საქმე ბრძოლის ასეთ მეთოდებთან. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენიმე ციტატას კამიკაძეების თემისადმი მიძღვნილი წიგნებიდან და გამოკვლევებიდან, რომლებიც აშშ-ში გამოიცა:

„...თვითმფრინავებიდან 5 თვითმკვლელობის იარაღს წარმოადგენდა. დანარჩენი ოთხი მათი ამერიკელებისგან დასაცავად ახლდა იმ ხუთს. ოპერაციის ლეიტენანტი იუკიო სეკი ხელმძღვანელობდა. 10.45-ზე პილოტებმა ამერიკული გემები შეამჩნიეს. ეს იყო ლეიტეს ყურის სანაპირო პლაცდარმის დასაცავად გამოყოფილი შენაერთი.

იაპონურმა თვითმფრინავებმა დაშვება იწყეს. 10.50-ზე ამერიკულმა გემებმა მიიღეს გაფრთხილება: „მტრის თვითმფრინავი სწრაფად ახლოვდება".

10.53-ზე თვითმფრინავმა ღრიალით გადაუფრინა ავიამზიდ „სენტ ლოს" და შუა ხაზის მახლობელ ასაფრენ გემბანზე აფეთქდა. 10.56-ზე ცეცხლი გაუჩნდა გემბანების ქვეშ განლაგებულ სათბობის რეზერვუარებს. ორი წუთის შემდეგ გაისმა მძლავრი აფეთქება და გემს საფრენი გემბანის უზარმაზარი ნაწილი ჩამოსცილდა. ცეცხლის ალი 30 მეტრის სიმაღლეზე ავარდა და 11.04-ზე „სენტლო" გიგანტურ ჩირაღდნად იქცა. 21 წუთის შემდეგ გემი ჩაიძირა.

სანამ „სენტ-ლო" იწვოდა, დანარჩენმა კამიკაძე-თვითმფრინავებმა ზუსტად მიაღწიეს თავ-თავიანთ მიზნებამდე. ხუთმა თვითმფრინავმა ოთხ ხომალდს მიაყენა დარტყმა. ერთი ავიამზიდი ჩაიძირა, დანარჩენებს კი მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. კამიკაძეთა ეს გაფრენა წარმატებული გამოდგა, ისევე, როგორც იმავე დღეს მინდა-ნაოს ბაზიდან აფრენილი კიდევ ერთი კამიკაძის ცდა. ადმირალი ონისი დაუყოვნებლივ შეუდგა ახალი ჯგუფების ჩამოყალიბებას...

„...1945 წლის იანვარში, როდესაც ამერიკელთა გემებმა ლუსონის კუნძულზე გადასასხდომად ლინგაენის ყურისკენ აიღეს გეზი, კამიკაძე-თვითმფრინავებმა მოწინააღმდეგის ფლოტის 40 სამხედრო გემი გამოიყვანეს მწყობრიდან.

...1945 წლის მარტში იაპონიის დაზვერვამ დაადგინა, რომ მტრის სპეცსამსახურები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კუნძულ ოკინავას. იაპონელთა დიდ უმრავლესობას სწამდა, რომ კამიკაძეებს შეეძლოთ გარდატეხა შეეტანათ ომის არასასიკეთო მსვლელობაში.

6 აპრილს კამიკაძეები ბრძოლაში ჩაერთვნენ. მტრისთვის საბოლოო დარტყმის მისაყენებლად კუნძულ კიუსიუზე მიმოფენილი აეროდრომებიდან ცაში ასობით თვითმფრინავი აიჭრა. კამიკაძეთა ოჯახებში მათი უკანასკნელი წერილები გაიგზავნა.

კამიკაძეები თითო-თითოდ, წყვილ-წყვილად ან ჯგუფ-ჯგუფად ჩნდებოდნენ. ისინი ძირითადად საესკადრო ნაღმოსნებზე ახდენდნენ პიკირებას... ისეთი შეგრძნება იყო, რომ გემებს ქარიშხალმა გადაუარა.. თუმცა იაპონელთა დანაკარგი მძიმე იყო, აფეთქებული ნაღმოსნებიც საბრალო სანახავი იყო, თხუთმეტი გემი მაინც მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული...

11.15-ზე ერთ-ერთი კამიკაძე-თვითმფრინავი ნაღმოსან „ბუშის" გემბანს შეასკდა, მოსპო კამბუზი, სამრეცხაო, ლაზარეთი, სარემონტო სახელოსნო, მწყობრიდან გამოიყვანა ცეცხლმაქრი სისტემა... ეკიპაჟი თავდაუზოგავად იბრძოდა გემის გადასარჩენად. დაჭრილებს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. „ბუშს" ჯერ კიდევ შეეძლო ცურვა, 16.35-ზე შეშფოთებულმა ეკიპაჟმა შეამჩნია, რომ ამერიკულმა სამხედრო-საჰაერო ძალებმა, რომლებიც ფლოტს იცავდნენ, სამხრეთისკენ აიღეს გეზი და დაზიანებული გემები კამიკაძეებს შეატოვეს. ჩრდილოეთიდან 15-მდე თვითმკვლელი თვითმფრინავი ახლოვდებოდა. მათ ალყა შემოარტყეს საესკადრო ნაღმოსნებს. ერთ-ერთმა მათგანმა „ბუშისკენ" აიღო გეზი, ამასთან იგი განუწყვეტლივ ესროდა გემს. კამიკაძე გემის ბორტს შეასკდა და ორად გააპო იგი...

მზის ჩასვლის წინ კიდევ ერთი თვითმფრინავი გამოჩნდა, იგი ანძების სიმაღლემდე დაეშვა, მარცხენა ბორტის მხრიდან შემოუფრინა გემს და თავისი ბოლო გაფრენა განახორციელა. ამ სანახაობის შემსწრეები დაიზაფრნენ. „ბუში" განწირული იყო.

შეჯახების შემდეგ გემის კიჩო და წინა ნაწილები ცას უყურებდა. მეზღვაურები წყალში ხტებოდნენ. წყალი გემის ნაკვეთურებში შევარდა და საესკადრო ნაღმოსანმა ჩაძირვა იწყო. იაპონელ ფანატიკოსებთან ერთსაათიანმა გააფთრებულმა ბრძოლამ მძიმე დაღი დაასვა ეკიპაჟის ფსიქოლოგიურ განწყობას. ისტერიკაში ჩავარდნილი ოფიცრები და მატროსები იხსნიდნენ სამაშველო ჟილეტებს და რაღაც გამძაგებული ძალით შეპყრობილები მიცურავდნენ წარმოსახვითი თავშესაფრისკენ, ზეცისკენ, შორს კამიკაძეების წარმოუდგენელი თავგანწირვით მოგვრილი შიშისა და გაოგნებისგან. ოცდაცამეტივე მათგანი დაიხრჩო..."

როგორც ხედავთ, იაპონელი პილოტები ტერორისტები კი არ იყვნენ, არამედ ჯარისკაცები, რომლებიც შეგნებულად სწირავდნენ თავს სასიკვდილოდ, რათა მშვიდობიანი ადამიანისთვის კი არ მოესპოთ სიცოცხლე, არამედ მტრის ჯარისკაცებისთვის, მაქსიმალური ზიანი მიეყენებინათ მოწინააღმდეგეების გემებისთვის, რომლებიც ასევე სიკვდილის მთესველ იარაღს წარმოადგენდნენ. ისე, რომ დღეს ისლამისტი ტერორისტების მიერ ატაცებულსა და შუა საუკუნეების წიაღში დაბადებულ იაპონურ კამიკაძის მცნებებს შორის დიდი განსხვავებაა.

# შენზე ფიქრით რომ აღამებს

## თამილა ფშაველაშვილი

ცოტა თუ ვინმე ელოდა, რომ საფრანგეთის საელჩოს ეგიდით მიმდინარე ფრანგულენოვანი სკოლების ფესტივალზე, რომლის ორგანიზატორი თბილისის ნოე ჟორდანიას სახელობის სკოლა-ლიცეუმია, დედაქალაქელ ბავშვებს ყველაზე ღირსეულ მეტოქეობას ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის მოსწავლეები გაუწევდნენ. სამაგიეროდ, თავად ქისტაურელი გოგო-ბიჭები და მათი ფრანგულის მასწავლებელი თამილა ფშაველაშვილი იყვნენ იმედიანად.

ქალბატონმა თამილამ თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის განყოფილების ფრანგული ენის ფაკულტეტი დაამთავრა, ერთხანს მუშაობა თარჯიმნად როიტის ცენტრში, ასოციაცია „კეთაში“. 1996 წლიდან კი მშობლიურ ქისტაურში, იმ საშუალო სკოლაში ასწავლის ფრანგულს, რომელიც თვითონ დაამთავრა და რომელშიც წლების მანძილზე ასევე ფრანგულის მასწავლებლად მუშაობდა მისი დედა ნანა ქაჩლიშვილი.

ახალგაზრდა, ენერგიულმა და შრომისმოყვარე პედაგოგმა პირველივე დღიდან შეაყვარა ბავშვებს როგორც საკუთარი თავი, ისე ფრანგული ენა.



თამილა ფშაველაშვილი: ჩვენი ბავშვები ყოველ წელს მონაწილეობენ საფრანგეთის საელჩოს ეგიდით და ნოე ჟორდანიას სახ. თბილისის სკოლა-ლიცეუმის ორგანიზებით გამართულ ფესტივალებში, სადაც ფრანგულენოვანი სკოლების მოსწავლეები ღებულობენ მონაწილეობას.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ როგორც წესი, ჩვენი ბავშვები ან ხსნიდნენ ფესტივალს პირველი ნომრით ან ბოლო ნომრით აგვირგვინებდნენ ფინალს. ყოველ მორიგ ფესტივალზე ვიღებდით დიპლომებს, პრიზებს და სხვა საჩუქრებს. ჩვენი მოსწავლე ნატო აივაზაშვილი კი საუკეთესო მსახიობად აღიარეს.

სულ მალე, მაისიდან, ჩავერთვებით ახალ პროექტში „ფრანგული-სახლში“. ამ პროექტის ჩარჩოებში მოვიწვევთ ფრანგს, რომელიც იცხოვრებს ქართულ ოჯახში და იმუშავებს ფრანგულენოვან სპექტაკლებზე, ასწავლის ბავშვებს მსახიობის ტექნიკას და ჩვენთან ერთად იმუშავებს სპექტაკლის რეჟისურაზე, მხატვრულ და მუსიკალურ გაფორმებაზე.

კონკურსზე გასაგზავნად გარდა ამისა, მზად გვაქვს ჩვენ მიერ გადაღებული ორი ხუთწუთიანი ფილმი ქისტაურზე, სოფლის ისტორიულ წარსულსა და ტრადიციებზე – „ალილოობა ქისტაურში“ და „რაფიელობის ზეიმი“.

ბევრს ვმუშაობთ ფრანგული ენის, კულტურის და ისტორიის ცოდნის გასამდიდრებლად და გასაღრმავებლად, ურთიერთობების გასაფართოებლად.

იმედი გვაქვს, რომ სოფელ ქისტაურს არაერთი ფრანგი ესტუმრება და გვინდა, გარდა ჩვენი ქვეყნისა თუ სოფლის იტორიის, კულტურის, ხელოვნების, ბუნებისა და ტრადიციებისა, ფრანგული ენისა და ლიტერატურის ცოდნით, საერთო განათლების დონითაც მოვიწონოთ თავი მათ წინაშე.

---

## ლია ზედგინიძე

რუსთავის №2 საშუალო სკოლის მეორეკლასელებს ძალიან უყვართ ახალგაზრდა, ლამაზი და გულისხმიერი პედაგოგი ლია მასწავლებელი.

ლია ზედგინიძემ თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკის სპეციალობით. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში კი თეატრალური განათლება მიიღო. ერთხანს რუსთავის №18 საშუალო სკოლაში მუშაობდა.

კლასში, სადაც 28 ბიჭი და 9 გოგონაა, ყოველთვის საოცარი ატმოსფეროა – საქმიანი ფუსფუსი, შემოქმედებითი ხმაური, მასწავლებლისკენ მიპყრობილი ცნობისმოყვარე თვალები, უამრავი შეკითხვა და ამდენივე პასუხი. სკოლის დირექტორი ქალბატონი ბელა ჯანშიძე სისტემატურად ატარებს მონიტორინგს და მისი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ამ კლასის მოსწავლეების ცოდნის დონე საკმაოდ მაღალია. პატარებს ლია მასწავლებელთან დამატებით გაკვეთილებზეც მოუხარიათ. იციან, რომ კიდევ ბევრ ახალ და საინტერესო რამეს გაიგებენ. საკუთარ შვილებზე არანაკლებ უყვართ ლია მასწავლებელი მათ მშობლებს, რომლებიც ხედავენ რა მისი გარჯა-ზრუნვის კეთილ ნაყოფს, ყველაფერში მხარში უდგანან. – არ ვიცი ყველგან ასეა, თუ მარტო ამ მოსწავლეებს ჰყავთ ასეთი არაჩვეულებრივი მშობლები, – ამბობს ლია მასწავლებელი – ყოველთვის



ვგრძნობ მათ თანადგომას, რა შეიძლება ვთხოვოთ, რომ დახმარება არ მივიღოთ, ეს ჩემთვის დიდი სტიმულია, ბავშვებისთვის კი – მიხაბაძი საქციელი.

ნიჭიერ და გამრჯე პედაგოგს ამაგი დაუფასდა. 2003 წელს წლის საუკეთესო გაკვეთილისთვის (საქართველოს მასშტაბით) ლია ზედგინიძეს ი. გოგებაშვილის სახელობის მედალი გადაეცა. სულით ხელოვანს, წარმატება ხელოვნების გაკვეთილმა მოუტანა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ბელა ჯანგიძემ პირველი კლასი ჩააბარა და საკუთარი შვილიშვილის ბედიც მიანდო. – ძალიან ვღელავდი, – ამბობს ქალბატონი ლია – თან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, ამას ისიც ემატებოდა, რომ უნდა გაგვევლო „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ამერიკული პროგრამა „ნაბიჯ-ნაბიჯ“ დაწყებითი კლასებისთვის, მაგრამ ყველაფერი იმდენად წარმატებით მიმდინარეობდა, რომ პროგრამა მეექვსე კლასამდე გააგრძელეს. ეს ოთხწლიანი ტრენინგი გამოცდილების სკოლაა ჩემთვის (მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი ჟურნალის მეშვეობით ყველაფრისთვის კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ქალბატონ ბელას), მე მზად შევხვდი წლის საუკეთესო გაკვეთილს, გამოსავლენ კონკურსს და ჩემივე სურვილით მივიღე მასში მონაწილეობა. გავაგზავნე წერილობითი, აუდიო, ვიდეომასალა და ბედნიერი ვარ, რომ შედეგსაც მივაღწიე. საერთოდ, ჩვენს სკოლაში ძალდატანებით არაფერი ხდება, აქ ექსპერიმენტისთვის ყოველთვის შესაფერისი გარემოა, წარუმატებლობის გამო ზედმეტად მკაცრად არასდროს განგვსჯიან, ამიტომ, რის, რომ თამამ ექსპერიმენტებს წარუმატებლობაზე ხშირად წარმატება მოსდევს.

ორი წლის წინ მეოთხე კლასებთან ერთად სილუეტური თეატრის პირველი დადგმა წარმოვადგინეთ (ე.წ. ჩრდილების თეატრი) ყველა თოჯინა ბავშვების შექმნილი იყო, ძალიან კარგი სანახაობა გამოგვივიდა. ამჯერად უფრო პატარებთან, ჩემს მეორეკლასელებთან ერთად ვამზადებთ ფრანგული (ფერადი) სილუეტური თეატრის წარმოდგენას, თოჯინები მზად გვაქვს. ქართულის გაკვეთილზე, რომლის თემაც იქნება ა. წერეთლის მიერ თარგმნილი პჩელნიკოვის „ბავში და ჩიტი“, კლასის ერთი განაყოფის მოსწავლეები მეორე განაყოფის მოსწავლეებს აუხსნიან ახალ მასალას (პედაგოგის როლი იგნორირებულია). ვნახოთ, როგორ გაართმევენ თავს პატარები, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

# „მაგარი“ გამოგონებები

## ბორბლებიანი ნავი

ეს მანქანა-ამფიბია დიდ ბრიტანეთში ააგეს. როგორც კი მანქანა წყალსატევში მოხვდება, მისი ბორბლები ძა-



რაში შეიმალება და წყალი შიგ არ შედის. მანქანა, რომელსაც შემქმნელებმა „ნოვა-1“ დაარქვეს, წყლის ზედაპირზე საათში 55 კილომეტრის სიჩქარით მიჰქრის, გზაზე კი 160 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებს, თითქმის ისევე, როგორც სპორტული ავტომობილი.

## სარეცხი მანქანა ძაღლებისთვის

ესპანელმა ინჟინერმა ანხელ სეგურამ გამოიგონა სარეცხი მანქანა ძაღლებისთვის. ცნობილია, რომ ძაღლის ბანაობა ადვილი არ არის – ის იღრინება, გასხლტომას ლამობს, მერე კი ტანს იბერტყავს და გარშემო ყველაფერს ასველებს. ბევრად უფრო მოსახერხებელია ძაღლის ჩასმა მოგუგუნე ყუთში, სადაც



წყლის ჭავლი და შამპუნი მთელ მტვერსა და ჭუჭყს ჩამოპბანენ, მერე კი დაბანილ ძაღლს თბილი ჰაერის ნაკადი სუფთა ბეწვს გაუშრობს. შეიძლება პატრონი შეშინდეს, როგორ უნდა გაძლოს ჩემმა ძაღლმა სარეცხ მანქანაშიო, მაგრამ სეგურას გამოგონება ისეა მოწყობილი, რომ ძაღლი კი არ ბრუნავს, არამედ უბრალოდ ზის და საყვედურით სავსე თვალებით უყურებს პატრონს; „მაინც მიაღწიე არა შენსას, ჩემი ჰიგიენის მოყვარულო პატრონო? ალბათ ძალიან კმაყოფილი ხარო!“

## ველოსიპედი შესანიშნავი შვიდეულისთვის

ჰოლანდიელმა ერიკ სტალერმა გამოიგონა სამთვლიანი ველოსიპედი შვიდი ადამიანისთვის. ამ ველოსიპედზე მსხდომნი ერთმანეთს ზურგში კი არ მისჩერებიან,



ისინი წრეში სხედან და თანამგზავრებს სახეში უყურებენ. ასეთი ველოსიპედით მგზავრობისას დომინოს ან ლოტოს თამაშიც კი შეიძლება, ამასთან ერთ-ერთი საჭეს ატრიალებს, დანარჩენი ექვსი კი – პედლებს. თუ შვიდი მგზავრიდან რომელიმე დაიღლება, მას შეუძლია პედლებს შეეშვას და ცოტა დაისვენოს. ველოსიპედი ისეა მოწყობილი, რომ აუცილებელი არ არის მაინცდამაინც შვიდმა ადამიანმა იმგზავროს, ერთსაც თავისუფლად შეუძლია მგზავრობა, მაგრამ მაშინ ეს ისე სახალისო აღარ იქნება.

## თუ აივანი არა გაქვთ...

გერმანელმა ინჟინრებმა ქალაქის ბინებისთვის განკუთვნილი მოსახსნელი აივნის კონსტრუქცია შექმნეს. ჯერ კოჭ-რელსს ფანჯრიდან გარეთ გამოდებენ, მერე ზევიდან აყენებენ სკამს, რომელზეც ადამიანი ჯდება. ასეთ სკამზე რომ დაჯდება, სუფთა ჰაერის ჩაყლაპვის მსურველი ხელებით ბიძგს აძლევს სკამს, რომელიც რელსზე გაგორდება და გარეთ აღმოჩნდება. სპეციალური ბორბლის მეშვეობით სკამი საკუთარ ღერძზე ტრიალებს, ისე რომ სკამზე მჯდომს შეუძლია მის თვალწინ გადაშლილი პანორამით დატკბეს.





# ბუთხუზუნას ბაღში

## ნიკოლოზ იოსებიძე

## ლექსები

### ჭრელი პეპელა

ამდენი ჭრელი პეპელა
მე არასოდეს მენახა,
როგორ მინდოდა დაჭერა
და იმ ლამაზის შენახვა.
შემოვირბინე მინდორი,
ვერცერთი ვერ დავიჭირე,
მწვანე მდელოზე დავჯექი
და ცხარე ცრემლით ვიტირე.
მოფრინდა ჭრელი პეპელა
და ხელის გულზე დამაჯდა,
მითხრა: — ნუ ტირი გოგონა,
ჩემი დაჭერა რად გინდა?
ამოიმშრალე ცრემლები,
ტირილით ნუ შეწუხდები,
კარგად შეხედე, - ამ წალკოტს
და მინდორს უფრო ვუხდები.
ფრთები გაშალა, პეპელამ
გაფრინდა, როგორც ენება
და უფრო გაალამაზა
ჭრელი ველ-მინდვრის მშვენება.



### ჩემს სამშობლოს უგალობენ, თუკი სადმე ფრთოსანია

მორცხვი ია კაბას იცვლის
შეფუჭული ბუჩქის ძირას,
მოიქარგა მინდორ-ველი,
ყვავილებში ჩაიძირა.
მზე კაშკაშებს, სიო მღერის,
ცას ტოროლა დაეკიდა,
მორაკრაკებს ცივი წყარო
დედის ცრემლებივით წმინდა.
ღელავს ყანა ზურმუხტისფრად,
შიგ მოწვი და სოსანია,
ჩემს სამშობლოს უგალობენ,
თუკი სადმე ფრთოსანია.

### სამშობლო

გახედე, შვილო, ამ წალკოტს,
ჭალებს, ველ-მინდვრებს, მწვერვალებს,
მზე ასე არსად არ ათბობს,
არცა ლაჟვარდი ელვარებს.
შენია კუთხე-კუნჭული,
ყოველი გოჯი, ნაბიჯი,
ახლა მახარებ ცუნცულით,
ვნახოთ, დადგები რა ბიჭი.
გახსოვდეს ვალი სამშობლოს,
ბოლომდე უნდა გემართოს,
ვინც ღვთის განგებით აქ ცხოვრობს,
რაღაცა უნდა შემატოს.

## აფხაზეთი

ოცნებებში ჩაიძირა აფხაზეთი,
მენატრება ჩემი ეზო-კარი,
ჩემს თოჯინას ვიღაც სხვასთან სძინავს,
ცრემლითა აქვს ავსებული თვალი.
მე სიზმრებში ხშირად ბაბუს ვხედავ,
მოლოდინში თმებს უწეწავს ქარი,
მის საფლავზე იაც ველარ დავრგე,
მოუთმენლად მიდის დრო და ჟამი,
ჩემს ლოგინში დაძინება მენატრება,
გამიხსენით შესასვლელი კარი,
დამაბრუნეთ, მე სოხუმი მელანდება,
დავიღალე, პაწაწინა ქალი.

**თეონა კოკალიანი,**
ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლა.

## „ადამიანი და ბუნება“

„ადამიანი და ბუნება“ – ასე ეწოდა კონფერენციას, რომელიც მომზადეს შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის მე-2 საშუალო სკოლის VIII-ა და VIII-ბ კლასებმა ბიოლოგიის პედაგოგის რუსიკო აბაშიძის ხელმძღვანელობით. კონფერენცია ჩატარდა ახლებური – ჯგუფური მუშაობის მეთოდით, „ურბანიზაცია“, „ომები და გარემო“, „ნარჩენებით დაბინძურება“, „ანტროგენური ზემოქმედება გარემოზე“. – ეს ის მცირე ჩამონათვალია თემებისა, რომელიც თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინა თემიდან გამომდინარე, საინტერესოდ გაფორმებული ბუკლეტებით, სქემებით, დიაგრამებითა და გაზეთების მეშვეობით. სპეციალური ლიტერატურისა და ინტერნეტით მოპოვებული მასალების საფუძველზე მომზადებული თემები უშუალო შეხებაში იყო დღევანდელ ეკოლოგიურ მდგომარეობასთან. სწორედ ამიტომ მასში მოყვანილი მაგალითები ცხოველი მსჯელობის საგანი გახდა.

კონფერენციის ხელმძღვანელი რუსუდან აბაშიძე და სკოლის დირექტორი ბელა ჯანგიძე კმაყოფილები დარჩნენ როგორც საკონფერენციო თემების დონით და აქტუალობით, ისე კონფერენციაზე დამსწრე უფროსკლასელთა აქტიურობით. საერთო აზრით, საუკეთესო ნამუშევრად თორნიკე ჭელიძის, მარი დევნოზაშვილის, თვალმაისა დევდარიანის, ანა ბიძიაშვილის, ნინო ფხოველიშვილის, ანა ჭალიძის, მარიამ ბეჟუაშვილის და გვანცა თაბუკაშვილის თემები იქნა აღიარებული.

**სალომე ინწკირველი,**
ქ. რუსთავი მე-2 საშუალო სკოლა.




**ლ. ჭიოკაძე,**
ქ. რუსთავი, სკოლა „მზეკაბანი“, III კლასი



**ლუკა ვაჭარაძე,**
ქ. რუსთავი, სკოლა „მზეკაბანი“, II კლასი



**მარი ტუხიაშვილი,** ახმეტის რაიონი,
სოფ. ქისტაურის საშუალო სკოლა. VI კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი თქვენგანი

## გვანცა ზარიძე,

**გვანცა რუსთავის №13 საშუალო სკოლის IX კლასში სწავლობს (კლასის ხელმძღვანელი გულიკო მაჭავარიანი).**

ინგლისური ენის შესწავლა, ბევრი სხვა თანატოლის მსგავსად, მეორე კლასიდან დაიწყო, ენისადმი ინტერესი იმთავითვე გაუჩნდა, იოლად ითვისებდა ახალ მასალას. ცოდნის გაღრმავების მიზნით კი კერძოდ პედაგოგ ელენე დვალთან დაიწყო მომზადება და მთელი სასკოლო პროგრამა წელიწადნახევრის განმავლობაში ამოწურა, თუმცა, განვლილი მასალისადმი ინტერესი არ განელებია. ინგლისური ენის პედაგოგს ქალბატონ იზოლდა ცერცვაძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია სკოლაში ახალ გადმოსული მოსწავლე და სისტემატური და გულმოდგინე შრომის შემდეგ ინგლისურის ტურში მონაწილეობა შესთავაზა. შარშან არასამთავრობო ორგანიზაციამ ჯეიმს ლაიკომსის ხელმძღვანელობით ქვემო ქართლის მასშტაბით ჩაატარა კონკურსი. კონკურსის მონაწილე მოსწავლეებს ინგლისურ ენაზე უნდა დაეწერათ თავისუფალი თემა. რამდენიმე ვარიანტიდან გვანცამ „მოგზაურობა“ აირჩია და ოცნებით იტალიის დედაქალაქ რომშიც იმოგზაურა. საკუთარი ოცნების და აზრების გადმოსაცემად სამი გვერდი საკმარისი აღმოჩნდა და მან პირველ ტურში მერვე კლასებს შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა. ამ დროს უკვე ახლოვდებოდა ბუშის ვიზიტი საქართველოში. იზო მასწავლებლის დახასიათებით გვანცა რჩეულთა შორის რჩეული აღმოჩნდა. მაღალი რანგის სტუმრებთან (ჯორჯ და ლორა ბუშები, მიხეილ სააკაშვილი და სანდრა რულოვსი, განათლების მინისტრი კახა ლომაია და სხვანი) შეხვედრამ მოლოდინს გადააჭარბა. – ქალბატონი ლორა ბუში საოცრად სასიამოვნო და კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა, ამბობს გვანცა, – თუმცა, შეზღუდული დროის გამო ბევრი რამის კითხვა ვერ მოვასწარით. ეს ამაღელვებელი წუთები დაუვიწყარი იქნება ჩემთვის...

გვანცა და მისი ახალი პედაგოგი ნელი მახარაძე მოუთმენლად ელიან ტურის მესამე ეტაპს, რომლის შემდეგაც საბოლოო შედეგები შეფასდება, ფინალისტები კი 1 წლით ამერიკაში გაემგზავრებიან სასწავლებლად.

გვანცა კვლავაც ბეჯითობს, ბევრს მუშაობს და წარმატების იმედიც აქვს. როგორც თავად ამბობს, სიამოვნებით მიიღებს განათლებას საზღვარგარეთ, ოღონდ საქართველოდან სამუდამოდ არასოდეს წავა.

–მე მიყვარს ჩემი ქვეყანა და ჩემი ცოდნაც მას უნდა მოვახმარო, – გვითხრა გვანცამ. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია წარმატება ვუსურვოთ მას.


## ყურადღება!

ქართულ-ამერიკული საერთაშორისო კომპანიების „phage international“ – ისა და „ფაგოთერაპიის“ ცენტრის გაერთიანების შემდეგ თბილისში გაიხსნა სამკურნალოსადიაგნოსტიკო „ფაგოთერაპიის ცენტრი“, რომელიც ახორციელებს კომპლექსურ მკურნალობას ბაქტერიოფაგების გამოყენებით, შემდეგი დაავადებების დროს: დიაბეტური ტერფი, ვარიკოზული და სხვა წარმოშობის ქრონიკული წყლულები, ძნელად შესახორცებელი ჩირქოვანი ჭრილობები, ნაწოლები, რბილი ქსოვილებისა და კანის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებები, ქრონიკული ოსტეომელიტი, ქრონიკული სინუსიტი (ფრონტიტი, ჰაიმორიტი), ოტიტი, ყბა-სახის პათოლოგიები და სხვა. კონსულტაციის მიღება და მკურნალობის ჩატარება შეგიძლიათ ყელ-ყურის სპეციალისტ ნოდარ ბაკურაძესთან, ყბა-სახის ქირურგ პროფესორ ზურაბ გვენეტაძესთან, ქირურგ პროფესორ გურამ გვასალიასთან.

ცენტრის მისამართია:
ილია ჭავჭავაძის გამზირი 5
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: (955 32) 91-6757
ფაქ. (995 32) 48-4005
მობ. (955 93) 32-7170
http://phagetherapycenter.com/



## მკურნალობა მცენარეთა ენერგეტიკით

თბილისის სამედიცინო ცენტრში „444“ ფუნქციონირებს ფიტობიოენერგოთერაპიის უნიკალური განყოფილება, სადაც პაციენტებს მცენარეთა ენერგეტიკით მკურნალობენ. ამ განყოფილების გარდა, ამგვარი მეთოდით მთელ მსოფლიოში ადამიანთა მხოლოდ ორი ჯგუფი მუშაობს: ორი ბერი ტიბეტში და რამდენიმე სპეციალისტი ფინეთში. თუმცა ფიტობიოენერგოთერაპიის საფუძველს მცენარეები წარმოადგენს, ეს მეთოდი ჰომეოპათიას არ განეკუთვნება. მისი გამორჩეული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეები განიხილება არა მათი ფარმაკოლოგიური თვისებების თვალსაზრისით, არამედ ადამიანის აურაზე მათი ზემოქმედების გათვალისწინებით. მეთოდი მიმართულია როგორც მთლიანად ადამიანის ველის, ასევე ცალკეული სისტემებისა და ორგანოების დათრგუნული ენერგეტიკის აღდგენაზე.

მკურნალობის საკმაოდ მარტივი მეთოდიკა სამი ნაწილისგან შედგება: ინდივიდუალურად შერჩეული ბალახების ნახარშის აბაზანა, მასაჟი და მცენარეული ჩაი. მთელი პროცედურა დაახლოებით საათნახევარს გრძელდება.

ფიტობიოენერგოთერაპიის განყოფილებაში მკურნალობენ ნევროზებს, საყრდენ-სამოძრაო აპარატის, სისხლის მიმოქცევისა და საჭმლის მომნელებელი სისტემების დაავადებებს, სეფსისს, ლეიკოენცეფალოპათიას, C ჰეპატიტს, კანის დაავადებებს, ცხიმგროვებს...

უკლებლივ ყველა პაციენტი, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ბალახების ენერგეტიკის ზემოქმედება, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მეთოდით მკურნალობის შედეგად ისინი არა მხოლოდ ფიზიკური ტკივილებისა და ჩივილებისგან გათავისუფლდნენ, ცვლილებები მოხდა მათ შინაგან სამყაროშიც.

ეწვიეთ სამედიცინო ცენტრის „444“ ფიტობიოენერგოთერაპიის განყოფილებას და სულ მოკლე დროში თავად დარწმუნდებით, რომ სასწაულთმოქმედი მცენარეები, გარდა იმისა, რომ სხვა თვალით დაგანახებენ სამყაროს, სიხარულისა და სიყვარულის გზასაც გაგიხსნიან.

# ცოტა რამ კომპიუტერების შესახებ



## პირველი კომპიუტერი ინგლისელებმა შექმნეს

არსებობს მცდარი აზრი, თითქოს პროგრამული უზრუნველყოფის საქმეში პირველები ამერიკელები იყვნენ, მაგრამ ეს ასე არ არის. პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი პირველი კომპიუტერი გახდა დიდ ბრიტანეთში, მანჩესტერის უნივერსიტეტში შექმნილი „პროტოტიპი მარკ-1“ ჩადგმული კათოდ-სხივური მილით. პირველი პროგრამა კი 1948 წლის 21 ივნისს ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა ტომ კილბუმმა გაუშვა. ხოლო თავად კომპიუტერული პროგრამის იდეა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოთქვა ინგლისელმა ბებიჯმა.

## კომპიუტერის წინაპრის იუბილე

2003 წლის დეკემბერში ძალზე მოკრძალებულად ჩაიარა თანამედროვე კომპიუტერების წინაპრად მიჩნეული პირველი გამომთვლელი მანქანის 60 წლის იუბილემ. ასეთი მანქანა იყო ინგლისელი პროფესორის მაქს ნიუმენის მიერ გამოგონილი და თ. ფლაუერსის მიერ აწყობილი 1500 სანთლიანი „კოლოსი“. მანქანა 1943 წლის დეკემბერში გერმანელთა დამშიფრავი მანქანის „ლორენც-შლიუსელის“ კოდების გასაშიფრად გამოსცადეს.



## როგორ შეიქმნა ბეისიკი

პირველ პერსონალურ კომპიუტერად შეიძლება ჩაითვალოს 1975 წ. იანვარში ამერიკული ჟურნალის „პოპულარული ელექტრონიკა“ ყდაზე გამოხატული „MITS“ ალტაირ-8800“, რომელსაც მსოფლიოში პირველი მინი-კომპიუტერი უწოდეს. ჟურნალი მკითხველს 395 დოლარად 256 მეხსიერების ბაიტით აღჭურვილი პროცესორის „ინტელ-8800“-ის შეძენას სთავაზობდა. ამ სტატიამ კომპანია „მაიკროსოფტის“ მომავალ დამფუძნებლებს ბილ გეიტსსა და პოლ ალენს ბეისიკის პროგრამების მარტივი, მაგრამ დიდი შესაძლებლობების ენის შექმნა უკარნახა.



## კომპიუტერი 128 მილიონ მეგაბაიტიანი მეხსიერებით

კოსმიური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების კვლევაში მძლავრი კომპიუტერების გამოყენებაში პრიორიტეტი აშშ-ს ეკუთვნის. ლაპარაკია არა იმ კომპიუტერებზე, რომლებიც ფრენის მართვისას გამოიყენება, არამედ ისეთებზე, რომლებიც შემოსულ სამეცნიერო ინფორმაციას ამუშავებენ. ასე მაგალითად, კოსმიურ ხომალდზე „მარსი-პათფაინდერი“, რომელიც 1997 წლის ივლისში „დაჯდა“ მარსზე, 32 ბაიტიანი IBMRAD 6000 იყო დაყენებული, რომელსაც წამში 22-მილიონი ოპერაციის შესრულება შეეძლო და 128 მილიონი მეგაბაიტიანი მეხსიერება ჰქონდა.




## ბუდა ბიზნესმენებს ჰაკერებთან ბრძოლაში ეხმარება

იაპონიის ინტერნეტ-კომპანიების მფლობელებმა კომპიუტერულ ვირუსებთან და ჰაკერთა ხრიკებთან ბრძოლის უჩვეულო საშუალება აირჩიეს. ქსელურ ბოროტებასთან საბრძოლველად მათ ბუდიზმი მოიშველიეს. ტოკიოს ერთ-ერთ ტაძარში ბიზნესმენებმა სპეციალური „ანტივირუსული“ მანტრები იგალობეს. სხვა დანარჩენში რიტუალებმა უძველესი ტრადიციების შესაბამისად ჩაიარა და არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი წირვა-ლოცვისგან. იაპონიაში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ჰაკერები ძალზე დიდ ზიანს აყენებენ ქვეყნის ეკონომიკას. როგორც ჩანს, იაპონელებმა გადაწყვიტეს, რომ ბუდას ერთადერთს ძალუძს სიტუაციის გამოსწორება.

# თამაში ოვალური ბურთით

## სპორტი



რაგბი სპორტის ერთადერი სახეობაა, რომელიც ქალაქის სახელს ატარებს. მისი დაბადების თარიღად 1823 წლის 7 აპრილი ითვლება. ამ დღეს ქალაქ რაგბის (იგი ლონდონიდან 200 მილის დაცილებით მდებარეობს) კოლეჯის მოსწავლემ უილიამ ვებ ელისმა დაარღვია ბურთით თამაშის წესები და ამით სათავე დაუდო სპორტის ახალ სახეობას. რაგბის მოყვარულები ხშირად ამბობენ: „ნამდვილი რაგბისტი რომ გახდე, უნდა დარბოდე ავაზასავით სწრაფად, უნდა იყო დათვივით ღონიერი, კვერნასავით მოქნილი და მელასავით ცბიერი“.

რაგბის ორიგინალობა და სილამაზე კოლექტიურ ძალისმიერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებაშია. რაგბი ფაქტობრივად სპორტის რამდენიმე სახეობის სინთეზია: მხოლოდ აქ შეიძლება ითამაშო ხელითაც და ფეხითაც, მხოლოდ აქ შეიძლება იხილო კალათბურთელის ფინტები და ხელბურთელებისათვის დამახასიათებელი გადაცემები, სპრინტერული და სტაიერული რბენა, კარში ფეხბურთისებური დარტყმები, მოჭიდავის ილეთები...

ძნელია დაასახელო სპორტის სხვა რომელიმე სახეობა, ესოდენ ეფექტურად რომ უწყობდეს ხელს სპორტსმენის მრავალმხრივ განვითარებას. ურთიერთმხარდაჭერა, თანადგომა, გატანა, ჯენტლმენობა, არტისტიზმი, სიფიქიზე, ვაჟკაცობა, – აი, რა არის რაგბი! ყოველივე ეს ამ თამაშის ხასიათიდან გამომდინარეობს.

რაგბი უფრო და უფრო პოპულარული ხდება მთელ ჩვენს პლანეტაზე. ზოგს რაგბი უხეში თამაში ჰგონია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთში, მაგალითად, უფრო ხშირია ტრავმები, ვიდრე რაგბიში. ეს მრავალგზის შემოწმებული და დამტკიცებული ფაქტი გახლავთ.

მინი-რაგბი

არსებობს რაგბის ნაირსახეობები: რაგბი-5 და მინი-რაგბი.

მინი-რაგბიში შეიძლება იყოს 5,7 და 9 მოთამაშე, რაგბის ეს ფორმა კარგი საწვრთნელი საშუალებაა რაგბისტებისთვის. ამასთანავე იგი რაგბის ცალკე სახეობადაც ითვლება – მოზრდილებს შორის ტარდება ოფიციალური შეჯიბრებები, ტურნირები. მინი-რაგბის მატჩებზე, ინგლისსა და საფრანგეთში ზოგჯერ 70-90 ათასამდე მაყურებელი იყრის თავს.

რუმინეთის, საფრანგეთის, ინგლისისა და ბევრი სხვა ქვეყნის სკოლებში, სპორტსკოლებსა და სპორტულ კლუბებში მრავლადაა მინი-რაგბის სექციები. ამ ქვეყნებში რაგბი უფროსკლასელ მოსწავლეთა სასკოლო პროგრამებშია შეტანილი.

რაგბის სექციებში 8-10 წლის ბიჭებს იღებენ. პირველი 4-5 წლის მანძილზე ისინი თამაშის ტექნიკას ეუფლებიან, 13-15 წლის ასაკში იწყებენ გამოსვლას მინი-რაგბის შეჯიბრებებში, 16-17 წლისანი კი რაგბი-5—ში გადადიან.

### სათამაშო მოედანი

რაგბი-5-ისთვის სათამაშოდ გამოიყენება ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები, რაგბი-7-ისთვის კი – ფეხბურთის მოედანი (ჩათვლის მოედნების გარეშე). რაგბი-7-ის თამაშებზე ინიშნება 1 მსაჯი. ფეხბურთის მინდორზე შეიძლება ერთდროულად ჩატარდეს 2 თამაში (მოედნის სიგანეზე).

### მოთამაშეთა რაოდენობა

რაგბი-5-ის თამაშისას გუნდში 5 წევრი და ამდენივე სათადარიგო მოთამაშეა, რაგბი-7-ისას – 7 მოთამაშე და 4 სათადარიგო. მოთამაშეები შეიძლება შეიცვალონ ყოველი შესვენების შემდეგ.

### ფორმა

რაგბი-5 შეიძლება ითამაშოთ ფიზკულტურის გაკვეთილზე სახმარი სპორტული ფორმით. რაგბი-7-ის დროს ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ერთნაირი ფორმა (მაისური, გეტრი, შორტი, კედები...)



## ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ

რაგბი-5 მოიცავს ორ 10-10 წუთიან ტაიმს 5-წუთიანი შესვენებით, რაგბი-7 ორ 15-15 წუთიან ტაიმს 10 წუთიანი შესვენებით.

## ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ

თამაში იწყება ცენტრიდან ბურთზე ფეხის დარტყმით.

დარტყმის დროს დამრტყმელის პარტნიორებმა უნდა დაიკავონ პოზიცია ბურთისა და პარტნიორის უკან. მოწინააღმდეგეები ამ დროს ერთმანეთისგან დაცილებულნი უნდა იყვნენ შემდეგი მანძილით: რაგბი-5-ის დროს – არა უმცირეს 3 მეტრისა, რაგბი-7-ის დროს – არა უმცირეს 10 მეტრისა.

## ᲨᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲐ

შერკინება ინიშნება: როცა დაკარგულია კონტროლი ბურთზე; წინ თამაშის დროს; ბურთის მფლობელი მოთამაშის ბლოკირების დროს; როცა შეუძლებელია თამაშის გაგრძელება; საკუთარი ჩათვლის მოედანზე ბურთის „დამიწების" შემდეგ; შერკინებიდან ბურთის არასწორი გასვლის შემდეგ.

## ᲨᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ

რაგბი-5-ის დროს შერკინებაში მონაწილეობს 2 მოთამაშე. რაგბი-7-ისას – 3, როდესაც 2 მოთამაშე დგას პირველ ხაზზე, მესამე ქმნის მეორე ხაზს.

შერკინება ინიშნება მოედნის გვერდითი ხაზიდან არანაკლებ 10 მეტრისა და ჩათვლის მოედნიდან – არანაკლებ 5 მეტრის დაშორებით.



## ᲬᲘᲜᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

წინა თამაში ითვლება მაშინ, როცა ბურთი აისხლიტება მოთამაშისგან და დაეცემა მოპირდაპირის მხარეს.

ამ დროს ინიშნება შერკინება დარღვევის ადგილას.

## ᲗᲐᲛᲐᲨᲒᲐᲠᲔ

ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც იმყოფება ბურთის მფლობელი მოთამაშის წინ ან აკრძალულ ზონში, ითვლება თამაშგარე მდგომარეობაში.

ამ დროს თამაში ჩერდება და ბურთი გადაეცემა მოწინააღმდეგეს ჯარიმის შესრულებისათვის.

## ᲬᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

წინ გადაცემად ითვლება მდგომარეობა, როცა ბურთი გადაეცემა თანაგუნდელს რომელიც იმყოფება გადაცემის წინ, მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედნისაკენ. ამ დროს ინიშნება შერკინება.

**აკრძალულია:** უბურთო მოთამაშის შეჩერება; მსაჯთან კამათი; უხეშობა; აკრძალული ილეთების გამოყენება; ფეხის დადება და სხვა.

## ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

რაგბის თამაშის მიზანია შეიტანო ბურთი მოწინააღმდეგის მოედნის „ქალაქში" და დადო ძირს, „დაამიწო". დაშვებულია ბურთიანი მოთამაშის შეჩერება, შებოჭვა ორივე ხელით. ტექნიკური ილეთებიდან აღსანიშნავია ბურთის თავისებური გადაცემა – პასი, რომლის გარეშეც რაგბი დაკარგავდა სილამაზესა და კოლექტიურ ხასიათს; მინი-რაგბიში ჩართულია ბურთით რბენა, გადაცემა, შებოჭვა, შებოჭვის მოცილება, ცრუ მოძრაობები და სხვა.

მინი-რაგბიში დიდი რაგბის ყველა ელემენტი უნდა იცოდე, რადგან ყველა მოთამაშე მონაწილეობს თავდასხმაშიც და დაცვაშიც.

რადგან რაგბიში სიტუაციები ძალზე სწრაფად იცვლება, მოთამაშეს უნდა შეეძლოს ბურთის სწრაფად დაუფლება და სწრაფად გადაცემა.

რაგბის ტექნიკური ელემენტების შესწავლა შეიძლება სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილზე. 11-12 წლის ბიჭებს თავისუფლად შეიძლება ვასწავლოთ მინი, რაგბის ელემენტები სპორტულ დარბაზში, რადგან რაგბის ეს სახეობა არ მოითხოვს საგანგებო ბაზას.

**ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲑᲐᲠᲯᲐᲫᲔ,**
სპორტის ოსტატი

# მოსწონხართ თუ არა ადამიანებს? ტესტი

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად თითოეულმა თქვენგანმა უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ტესტში მოცემული ყველა მოსაზრებისადმი. თანხმობის შემთხვევაში თითოეული პუნქტის გასწვრივ პლუსი „+" დაუწერეთ, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში – მინუსი „-".

1. მე უნდა მახსოვდეს, რომ მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ მაფასებენ ისინი, ვისთანაც ვარ ხოლმე, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს.

2. ადამიანს საკმაოდ განვითარებული უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის გრძნობა, იმისთვის რათა მეგობრებთან თავისი ჰობის შესახებ ილაპარაკოს, მიუხედავად იმისა, იზიარებენ თუ არა ისინი მის გატაცებას.

3. ყველაზე ჭკვიანურია მაშინაც შეგეძლოს ღირსების შენარჩუნება, როცა ეს შეუძლებელი ჩანს.

4. თუ ადამიანი სხვის მეტყველებაში შეცდომებს ამჩნევს, აუცილებლად უნდა გაუსწოროს.

5. იმისათვის, რომ უცნობ ადამიანზე შთაბეჭდილება მოახდინო, ენამახვილი, მიმზიდველი და ხალისიანი უნდა იყო.

6. თუ სხვა ადამიანი გაგაცნეს, შენ კი მისი სახელი ვერ გაიგონე, უნდა ჩაეკითხო.

7. დარწმუნებული ხარ, რომ იმიტომ გცემენ პატივს, რომ სხვებს შენი დაცინვის, გამასხარავების ნებას არ აძლევ.

8. სულ ფრთხილად უნდა იყო, რათა სხვებმა არ დაგცინონ.

9. თუ გონებამახვილ, ბრწყინვალე ადამიანებთან გაქვს ურთიერთობა, უმჯობესია, არ გაეჯიბრო. ასეთს პატივი უნდა მიაგო და ლაპარაკს გამოეთიშო.

10. ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ მისი საქციელი შეესატყვისებოდეს იმ საზოგადოების განწყობილებას, რომელშიც იგი იმყოფება.

11. ყოველთვის უნდა ეხმარებოდე მეგობრებს, იმიტომ რომ შეიძლება დადგეს დრო, როცა ძალიან დაგჭირდება მათი დახმარება.

12. მაინცდამაინც ხშირად ნუ გაუწევ სამსახურს სხვებს, იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში ცოტა ვინმე თუ დაგიფასებს ღირსეულად.

13. უმჯობესია, სხვები იყვნენ შენზე დამოკიდებული, ვიდრე შენ – სხვებზე.

14. ნამდვილი მეგობარი ყოველთვის ეხმარება მეგობრებს.

15. ადამიანი ხაზგასმით უნდა წარმოაჩენდეს თავის საუკეთესო თვისებებს, რათა სხვებმა მისი ღირსეულად დაფასება შეძლონ.

16. თუ საზოგადოებაში ყვებიან ანეკდოტს, რომელიც შენ მოსმენილი გაქვს, უნდა შეაწყვეტინო.

17. თუ საზოგადოებაში ყვებიან ანეკდოტს, რომელიც შენ მოსმენილი გაქვს, იმდენი ზრდილობა უნდა გამოიჩინო, რომ გულიანად გაიცინო.

18. თუ მეგობართან დაგპატიჟეს, შენ კი კინოში ან სხვაგან წასვლა გირჩევნია, უნდა თქვა, რომ თავი გტკივა, ან სხვა ახსნა უნდა მოიმიზეზო, ხოლო ნამდვილი მიზეზი დამალო.

19. მეგობარი მოითხოვს, რომ მისი მეგობრები ყოველთვის მისთვის სასიკეთოდ უნდა იქცეოდნენ.

20. ადამიანი ჯიუტად და დაჟინებით არ უნდა იცავდეს თავის შეხედულებებს, მაშინაც კი თუ ვინმე საწინააღმდეგო აზრისაა.

**ახლა კი ქულები დააჯამე. ყოველი სწორი პასუხისათვის 5 ქულა დაიწერე. სწორი პლუსიანი პასუხებია: 6,13,14,20.**

**მინუსით ფასდება: 1,2,3,4,5,7,8,9,10,11,12, 15,16,18,19 პასუხები.**

დააჯამე ყველა სწორი პასუხისთვის მიღებული ქულები. 85-100 ქულა – შესანიშნავი შედეგია და ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრს უყვარხარ. 75-85 ქულა – კარგი შედეგია და მაშასადამე, ურთიერთობაში სასიამოვნო, მომხიბვლელი და სიმპათიური ხარ, თუმცა ზოგჯერ გეშლება ხოლმე. 60-75 ქულა დამაკმაყოფილებელი შედეგია და იმაზე მეტყველებს, რომ სხვებთან ურთიერთობაში საკუთარ ღისრებას კი ინარჩუნებ, მაგრამ თანამოსაუბრის ღირსებისა, რა მოგახსენოთ. 0-60 ქულა, აშკარად ცუდი შედეგია, ერთ საქებარ სიტყვასაც კი არ იმსახურებ. მაგრამ ყველაფერი წინ გაქვს, შენ ჯერ კიდევ შეგიძლია ადამიანებთან ურთიერთობა ისწავლო.

# სიცილის გაკვეთილი

* * *

ქიმიის მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

–აი, ახლა, მე ოქროს მონეტას სპირტში ჩავდებ, როგორ გგონიათ, მონეტა გაიხსნება?

ბავშვები ერთხმად:

–არა, რა თქმა უნდა, რომ იხსნებოდეს, არ ჩადებდით...

* * *

პატარა ფრიცმა უამრავი შეკითხვით მამას გული გაუწყალა. მამამ ბევრ კითხვაზე გასცა პასუხი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და გაბრაზებულმა უთხრა შვილს:

–შენი კითხვებით ნამდვილად გამაგიჟებ და ბოლოს ალბათ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოვხვდები.



–კარგი, მამა, დამშვიდდი! მარტო ერთ და უკანასკნელ კითხვას დაგისვამ: ნებას დამრთავ, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გინახულო?

* * *

ჟაკი: – დიდ მადლობა, დეიდა, სათამაშოებისთვის!

დეიდა: – რას ამბობ, ჩემო ბიჭო, მადლობად არც ღირს.

ჟაკი თავს უქნევს: – მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ დედამ მითხრა, მადლობა მაინც უნდა გადაუხადოო.

* * *

ავადმყოფი ბავშვის დედამ შვილი ექიმს მიუყვანა:

–ჩემს ბიჭს ჭიები გაუჩნდა და რა ეშველება?

–ცხრა დღე თბილი რძე ასვით და ფუნთუშა შეატანებინეთ, მეათე დღეს კი მარტო რძე დაალევინეთ.

დედა ასეც მოიქცა. მეათე დღეს, რძე რომ დალია, ბიჭის პირიდან დიდმა ჭიამ ამოყო თავი და მწყრალად იკითხა: – ფუნთუშა სადღაა?

გაგიჟებული დედა ექიმთან გავარდა. ექიმმა ყურადღებით მოუსმინა, მერე კი დინჯად ჰკითხა:

–ჭიამ თავი რომ ამოჰყო, რატომ არ ეცით და თავი რატომ არ წააწყვიტეთ?

* * *

–რა უმსგავსობაა?! ვინ გასწავლა, ყმაწვილო ასეთი უშვერი სიტყვები?

–როდესაც ადამიანს თანდაყოლილი ნიჭი აქვს, სულ არ არის საჭირო, რომ ვინმემ რამე ასწავლოს.

* * *

–მისის ბრაუნ! – დაურეკა გაცოფებულმა მეზობელმა ქალბატონ ბრაუნს, – თქვენი სამი ბიჭი ისევ ჩემს ბაღში გადმოპარულა და ვაშლის ხეზე ამძვრალა.

–კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, მეოთხე სადღაა?

* * *

დედამ ხუთი წლის ბიჭუნა დასაძინებლად დააწვინა და ეკითხება:

–აბა, ჩემო ბიჭო, მითხარი, რომელი ზღაპარი გიამბო?

–არ მინდა ზღაპარი.

–აბა, იავნანა გიმღერო?

–არა, არ მინდა!

–მაშ რა გაგიკეთო, ჩემო კარგო?

–იცი რას გეტყვი, დედიკო, ძალიან დავიღალე და მაგრად მეძინება, დამაცადე რა, დავიძინო!

* * *

ზოოლოგიის მასწავლებელი თხუნელებზე ესაუბრება უმცროსკლასელებს:

–თხუნელა სასარგებლო ცხოველია, ერთი თხუნელა დღეში იმდენ მწერს ჭამს, რამდენსაც თავად იწონის.

პატარა შარლმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს, გაკვირვებულმა ჰკითხა:

–მასწავლებელო, საიდან იცის თხუნელამ საკუთარი წონა?

* * *

პოლიციელმა საჭესთან მჯდომი მოზარდი გააჩერა და მძღოლის მოწმობა მოსთხოვა.

მოზარდმა გაიოცა: – რატომ გამაჩერეთ?! საიდან უნდა მქონდეს მძღოლის მოწმობა, როცა არასრულწლოვანი ვარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინილო — ზინილო

ა ნ დ ა ზ ვ ო რ დ ი



**შვეულად**: 1. ასი ხევი ავიარე, ასი ბუდე ავშალე, ქალსა მძივი ავყარე, კალათაში ჩავყარე. 2. უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს, დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი. 3. ყოველ თვისა და თვის თავზე, ვარდი ამოდის კლდის თავზე. 6. აკიბული, ჩაკიბული ცის და ქვეყნის მოციქული. 10. წყალში ზის, თევზი არ არის, ბალახს ძოვს, ძროხა არ არის, ღუღუნებს მტრედი არ არის. 11. ასლამაზი ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა, ნიავმა რომ დამიბერა, ასად დამეკეცა. 12. ის ხან დინჯად მიზოზინობს, ხან კი მირბის გამალებით, არც საკუთარ საქმის გამო და არც სხვისი დავალებით. 13. აბელი ბელი, საბელი გრძელი, ბამბის გული უგრეხელი. 15. ერთი რამა სულიერი მიწამიწა მძრომელია, კარგი ვაჟკაცისათვის თავსა წამომდგომელია, სამჯერ გითხარ მის სახელი, გამოიცან, რომელია.

**თარაზულად**: 3. მოვიდა შავი მოზვერი, წააქცია მთელი სოფელი. 4. მიდის, მოდის, კვალს არ აჩენს. 7. აიმ მთას გადმოწოლია გოროზ-გოროზი გველიო, ჭალაში ჩამოჰხედავდა, იქ არი ჩემი ველიო. 8. ორჯერ შობილი ერთხელ კვდება. 9. ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზე უფრო სოსანი, წავა ისპაჰანს, წყალს დალევს, ისევ შინ მოვა ცოცხალი. 14. შევხედე და შავი იყო მივედი და მკვდარი იყო, ფეხები რომ დავუჭირე, ნაცოხარი ამოიღო. 16. პატარა ვარ, გამიფრთხილდით, თორემ დიდ ცეცხლს გავაჩენო. 17. მამა არ გაჩენილიყო, შვილი ქალაქს მიდიოდა.



გამოიცანით, რა იყიდა ბიჭმა მაღაზიაში

# საქართველოს მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ანსამბლი „თარიკონი" საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებთან ერთად





ნიცა ოდიშვილი, 1,5 წლის

# ჩვენი ვერნისაჟი







გიორგი მიქელაძე, 8 წლის. ქ. რუსთავი

# ჩვენი ვერნისაჟი

ნ 54/14

ეროვნული ბიბლიოთეკა







ნინი კვეზერელი, თბილისის 161-ე საშუალო სკოლა I კლ.













ლუკა გელაშვილი, 5 წლის. ქ. რუსთავი







თორნიკე მიქელაძე, 7 წლის. ქ. რუსთავი